მარტი
1930 წ.
№ 51

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
MARS
1929—№ 51

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

მეთაური—სეპარატიზმი—აი მტერი!
ვიკ. ნოდარმე—ევროპა და კავკასია.
—ლი—ვ—საქართველო ციფრებით.
ვ. ვ.—ინდოეთი დამოუკიდებ. თხოულობს.
მ. მ.—სახელმწიფოთა კონფ. და ფედერ. კავშირი.
პრესა.
საქართველოს ამბები.
უკრაინელთა შორის.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
საბჭოთა რუსეთში და სხვ.

სეპარატიზმი—აი მტერი!

ერთი სრულიად სარწმუნო ცნობა თფილისიდან ამბობს, რომ იქ ეხლა დაობენ, თითქმის აშკარათ, არა იმაზე დაირღვევა თუ არა რეჟიმი და აქედან თვით საბჭოთა კავშირი, არამედ იმაზე, გაზაფხულს მოხდება ეს თუ შემოდგომასო. ჩვენ შეგვიძლია თავი მოგვქონდეს იმით, რომ ასე გაზომილათ ხვდება არა ერთხელ აქ გამოთქმული აზრები ჩვენი დედა-ქალაქის სულისკვეთებას. თითქო უხილავი ძაფია ჩვენს შორის გაბმული, გვესმის ერთმანეთის მაჯის ცემა, ხვდება ერთმანეთს არა მარტო საიდუმლო ზრახვები, არამედ მდგომარეობის შეფასებაც.

და რომ თფილისი დღეს წარმოადგენს მეტათ გრძნობიერ პოლიტიკურ ბარომეტრს საბჭოთა კავშირში, ამას ხაზგასმით აღიარებს თვით ჩვენი პატივცემული ინფორმატორი. არის სხვა ცენტრებიც—დასძენს ის—მაგ., ხარკოვი, სადაც დღეს სწარმოებს გეპეუს მიერ შეთხზული «უკრაინის განმათავისუფლებელ კავშირის» პროცესი, 34 მეცნიერ და ინტელიგენტის წინაამდეგ. ტაშკენტიდანაც მოისმის გამაფრთხილებელი ხმა, აგრეთვე ზოგ სხვა ადგილიდან, მაგრამ არსათ ისე გარკვევით არა აქვთ გათვალისწინებული მოწოლილი ზვირთები და მისი შედეგები, როგორც ტფილისში, და ეს ხომ კავკასიის გულიაო—ათავებს ის.

სტალინის მიერ 2 მარტს გამოქვეყნებული წერილი-უქაზი და განსაკუთრებით კომპარტიის ცეკის ცირკულიარი პირდაპირ მოწმობს, რომ «დაკვრითი» კოლექტივიზაცია უკანასკნელი წვეთი იყო არაროს ერების მოთმინების ფიალაში. მართალია, სტალინი მათ უწოდებს «ჩამორჩენილთ», რომელნიც სოციალიზმისთვის მომწიფებული არ არიანო; მაგრამ ნამდვილი ვითარება იმაშია, რომ არაროსი გლეხები კერძო მესაკუთრენი არიან და არავის დაანებებენ დაუსჯელათ მათი მეურნეობის აოხრებას. ეს ასეცაა, როგორც მოწმობს თვით საბჭოთა პრესის ცნობები, რასაკვირველია, განზრახ მიჩქმალული.

ხოლო ამით იმის თქმა არ გვინდა სულაც, ვითომ თვით რუსეთში ყველაფერი თავის რიგზეა. არა, იქაც წამოყო გლეხობამ თავი და, თუმცა მათ კულაკებს ეძახიან, ისე მრავალია მათი რიცხვი, რომ შეკავშირება არ აკლდეთ, მარტო ისინიც იკმარებდენ რეჟიმის დასამხობათ. შესანიშნავია ამ მხრივ ცირკულიარის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია წითელ არმიაზე: ბევრია მასში კულაკების შვილები, ნათესავები, უნდა ვერიდოთ მათ გაბოროტებასო. ცხადია, რამდენათ უარესი უნდა იყოს მდგომარეობა, როცა ცეკაც კი იძულებულია გამოამჟღავნოს თუ გინდ ეს.

დაუმატეთ ამას ის შიშიც, რომელმაც ერთბაშათ შეიპყრო კრემლი: გაზაფხული უკვე კარზეა და მინდვრები დაუთესავი დაგვრჩებაო. კოლექტივიზაცია იმისთვის იყო მოგონილი, რომ პურით უზრუნველ-ყოთ თავი, სინამდვილეში კი გამოვიდა სულ წინაამდეგი.

ამიტომ სტალინის უკან დახევა, ახალი ზიგ-ზაგი გასაგებია. კულაკებს თავზე ხელს უსობენ: ინდივიდუალურ მეურნეობას ნუ შევხლეთ, გლეხებს შეუძლიათ თავისუფლათ ყიდონ ნაწარმოები, გახსენით დახურული ბაზრებიო. ერთი სიტყვით, ნეპი და მისი ჯანი.

მაგრამ ავიწყდებათ, რომ 1930 წელი უბრალო განმეორება არაა 1921 წლის. რაც მაშინ შეიძლებოდა, დღეს არ შეიძლება. კოლხოზებში შერეკილი გლეხები უკან გამორბიან, იბრუნებენ ძალათ წართმეულ საქონელს, იარაღს, სახლებს. მაგრამ, ვინაიდან ბევრი ამ წართმეულიდან გაფუჭებულია ან სრულიად მოსპობილი, ისინი მოითხოვენ სამაგიეროს. ბრძოლა ამ ნიადაგზედ საშიშრათ მწვავდება, ექსპროპრიატორი კომუნისტები ადგილს ვერ პოულობენ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი დააღწიონ ხალხის რისხვას. გაკოტრებულ დემაგოგებს თავიანთ პარტიაშიც გაუტყდათ სახელი, ხალხზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ამ რიგათ, საბჭოთა კავშირი უკვე შესულია დიდი კრიზისის ხანაში. დათმობები ეხლა ვერ უშველის ხელისუფლებას, ყველა ვადები გასულია, ის უძლურია იხსნას ხალხი შიმშილისა და ბევრი სხვა უბედურებისაგან. დარჩა ისევ ტერორი, სისხლი, რომელიც საშინელ ბოლოს უქადის კრემლის მედროვეთ.

საინტერესოა, ამ დროს, ამ საბედისწერო ისტორიულ მომენტში რუსის ემიგრაცია დაობს იმაზე, რეაქცია თუ რევოლუციაო, დიქტატურა თუ სხვა სისტემა, ვებრძოლოთ მას თუ არა, ძალათ დავცეთ თუ დავაჯეროთ თვითონ დაეცესო!

ჩვენ ხალისი არა გვაქვს ჩავერიოთ ამ ნაცარქექაობაში, მხოლოდ ერთი რამ მაინც არ უნდა გამოგვეპაროს, რაიც წითელი ზოლით გაყოლებულია ამ სიტყვიერ ჭიდილში. რუსები, მართალია, დაობენ, მაგრამ ერთში ისინი თანახმა არიან—ეს მათი შიში, კანკალი ახალი რევოლუციის აფეთქების წინაშე. ამას გაიგონებთ თქვენ მემარჯვენისაგან, მემარცხენისაგან, ყოველ წრეში და ორგანიზაციაში.

რატომაა ეს შიში, ეს კანკალი? რევოლუცია—მოგიგებენ ისინი ერთხმათ—სამოქალაქო ომში გადავარდნაა, ხოლო ეს ბუნებრივის აუცილებლობით დაარღვევს, დაანაწილებს საბჭოთა კავშირსო. მაშასადამე, ტყუილა გვგონია, რომ რუსის ემიგრანტებს არა აქვთ არაფერი საერთო, მიუხედავათ მათი შინაური ბრძოლისა. ყველა ისინი თითქო ეროვნულათ, პატრიოტულათ არიან განწყობილი. ერთი ამას აშკარათ ამბობს, მეორე—ქარაღმით, მესამე სულაც კი სდუმს, თუმცა გულში ამაზე ფიქრობს.

მერე რა—იტყვის მკითხველი—, განა ეროვნული გრძნობა დასაძრახია, განა ჩვენ თვითონ ეს გრძნობა არ გვამოქმედებს? არა, რასაკვირველია. ის, რაც რუსებს ამოძრავებს, არის იმპერიალიზმი, ბატონობა სხვა ერებზე. ჩვენ კი მივისწრაფით არა ბატონობისაკენ, არამედ თავის თავის განთავისუფლებისაკენ. ეს წინაამდეგობა ნათელია, ცხადი. ჩვენი უბედურების მეათე წელს, ამდენი გაკვეთილების შემდეგ, პირდაპირ გაუგებარი და დაუშვებელი იქნებოდა ჩვენ შორის გათხრილ ორმოს წინ შეგვეშინდეს, თავი მოგვებრუოს.

არის, მაშასადამე, ორი შეურიგებელი პოლიტიკა და ტაქტიკა: რუსული და არარუსული: მათი ერთმანეთში არევა მით უფრო მიუტევებელი და მავნე იქნებოდა, რაც უფრო ვუახლოვდებით გადამჭრელ ყოფნა-არყოფნის ჟამს. ჩვენი მიზანია ეროვნული განთავისუფლება, რუსების—დღევანდელ პოლიტიკურ საზღვრების შენარჩუნება. აქედან საშუალებაც ლოღიკურათ სულ სხვა და სხვაა: ჩვენ გვინდა მივაღწიოთ მიზანს რევოლუციური გზით, რუსებს—ევოლუციური. თუმცა მტერი თითქო ერთი და იგივე გვიდგას წინ, რევოლუციურ როლს ამ გარდამავალ ხანაში არარუსები თამაშობენ, ხოლო რუსები, უკეთეს შემთხვევაში, კონსერვატიულს. ჩვენ არ გვაინტერესებს ფრაზები, საქმით კი რუსები მზათ არიან თუ გინდ ერთი საუკუნე ითმინონ ბოლშევიზმი, ოღონდ არარუსი ერები ხელიდან არ გაუსხლტეს მოსკოვს.

გასაგებია ამიტომ რუსების გულისთქმა, ამოძახილი: სეპარატიზმი—აი მტერი! იყავით დარწმუნებული, ამის უტყუარი საბუთებიც არის, რომ მილიუკოვ-კერენსკის კამპანია ამ უკანასკნელათ მიმართულია არა იმდენათ რეჟიმის, რამდენათ სეპარატიზმის წინაამდეგ. რას ვუპირდაპირებთ ჩვენ ამ კამპანიას? ვართ თუ არა მზათ, დარაზმული, გავშალოთ ჩვენი ეროვნული დროშა, უცხოეთის საზოგადო აზრის წინ, რუსების იმპერიალისტურ დროშის წინაამდეგ?

დიახ, სტალინმა წამოიყრანტალა და ჩვენ კი ამას თავიდან ვამტკიცებდით, რომ სოციალური ჭიდილის გარდა და მის გვერდით ეროვნული ჭიდილიც სწარმოებს საბჭოთა კავშირში. ჩვენ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველი წინაა, მეორე—უკან, პირველი ხვალინდელ რევოლუციის მამოძრავებელ ღერძად ხდება. განა ეს გასაკვირველია? ბოლშევიკურ ეკონომიურ ნიველიზაციის, ბურჟუაზიის ოფიციალური გაუქმების შემდეგ, როცა კლასობრივი ბრძოლა იმაში გამოიხატება, რომ ღარიბნი სცარცვავენ ეგრედ წოდებულ შეძლებულთ, სოციალური მომენტი თავისთავათ უკანა რიგში რჩება და სიმძიმის ცენტრი ეროვნულ მომენტზედ გადმოდის.

ჩვენ თვალს არ ვხუჭავთ, რომ რუსის ხალხი სოციალ-ეკონომიურ ჩიხშია, იქიდან გამოსვლას ლამობს და, მისი ემიგრანტების ნაცარქექაობის მიუხედავათ, იძულებული იქნება გამოვიდეს ბრძოლის ველზედ. მაგრამ ის არ არის შეკავშირებული, ინტელიგენციას ეშინია კიდეც ამის, მაშ მოსალოდნელია ანარქია, ხალხი უკვე ჩათრეულია მასში.

ჩვენი ამოცანა? არარუს ერების ამოცანა? დარაზმული გამოსვლა, სტიქიის ძლევა, დროს შერჩევა, ბორკილების დამსხვრევა.

სეპარატიზმი—აი მტერი! სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ არა რუსის ერის, არამედ გადაღმელ და გადმოღმელ რუსულ იმპერიალიზმის წინაამდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპა და კავკასია

(ბრძოლა ნავთისათვის)

I.

1.

1859 წელი ცნობილია, როგორც ნავთის მრეწველობის დაბადების წელიწადი. იმ დროს ერთმა ამერიკელმა (დრეიკმა) გათხარა სანავთო ჭაბურღილი და ნავთის წყაროები აღმოაჩინა. ნავთი გაჰქონდათ ევროპაში ბოთლებით და ამერიკული ზეთის სახელით ჰყიდდენ. მაგრამ 1884 წელი, როდესაც გერმანელმა ინჟენერმა ბენცმა ააგო პირველი ავტომობილი და 1897 წელში გერმანელმა ინჟენერმა რუდოლფ დიზელმა გამოიგონა შინაგანი წვის მანქანა, ყველგან ცნობილი, როგორც დიზელ მანქანა,—ნავთის მრეწველობაში სრული რევოლუცია მოხდა.

თუ უწინ ბენზინს მოუხმარებლობის გამო ტყვილად აქცევდენ, ავტომობილებისა (რომელთა რიცხვი დღეს 30 მილიონს უდრის) და ჰაეროპლანების ინდუსტრიის განვითარებამ გამოიწვია მისი უზარმაზარი მოთხოვნილება. სამხედრო გემებში დადგეს დიზელმანქანები, და ეს უდიდესი გადატრიალება მოახდინა ლორდ ფიშერმა ბრიტანეთის სამხედრო ფლოტში. ამგვარად, კომერციული და ეკონომიური მნიშვნელობის გარდა, ნავთმა მიიღო სამხედრო მნიშვნელობა და ამან თავის მხრივ გამოიწვია სანავთო მრეწველობის ვეებერთელა გაზრდა. 1890 წელში ნავთის ამოღება უდრიდა 76.633.000 ბარელს, 1929 წელში კი—1 მილიარდ ბარელს.

ამიტომ მწვავედ დაისვა საკითხი და სენატორმა ბერანქემ სამართლიანად სთქვა:

«ვისაც აქვს ნავთი, აქვს ძალაც. ბატონობა ზღვაზე ნავთის შემწეობით; ბატონობა ჰაერში ნავთის შემწეობით; ბატონობა ხმელეთზე ფულით, რომელიც ნავთთან არის დაკავშირებული»-ო.

ნავთის სამხედრო მნიშვნელობა განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა მსოფლიო ომის დროს. ჯარების გადასაყვანად და ზარბაზნების გადასაზიდათ საჭირო შეიქნა კამიონები (საბარგო ავტომობილები). ომის დასაწყისში საფრანგეთს ჰქონდა 100 კამიონი, ომის დასასრულს კი—70.000. მხოლოდ დასავლეთის ფრონტზე, ანტანტის მხრივ 100.000 კამიონი იყო. ამის მიუმატეთ ჰაეროპლანები, ტანკები, ტრაკტორები და ფლოტი, რომელიც ნავთით მოძრაობდა (ინგლისის ფლოტის ნახევარი ნავთით მუშაობდა).

მაშასადამე: ნავთის მოპოვება გადაიქცა აუცილებელ საჭიროებად. მაგრამ ევროპის მეომარ სახელმწიფოებს; როგორც ანტანტის, ისე გერმანია-ავსტრიის მხრივ, საკუთარი საკმაო ნავთი არ გააჩნდათ და ამიტომ ომის დროს დიდ გაჭირვებაში ჩავარდენ. ანტანტის მთავრობებმა დააწესეს სპეციალური კომიტეტები, რომელთაც ვალად დაედოთ წყალქვეშისა და ჯარისათვის ნავთის მიწოდება. უუდიდესი სანავთო საზოგადოება როიალ დაჩ-შელი და სხვა ყველა ინგლისური სანავთო კომპანია ანტანტას აწვდიდა ნავთს. მაგრამ საკმარისი ნავთის მიღება მაინც ვერ შესძლეს (მარტო ბრიტანული ფლოტი 1917 წელში სწვავდა ყოველთვიურად დაახლოვებით 400.000 ტონს) და დადგა ისეთი დროც, როცა ბრიტანული სამხედრო გემები უნავთობისა გამო უნდა გაჩერებულიყვენ. მაგრამ ლორდ ბალფურის დეპეშით შესძლო ნორტკლიფმა, ამერიკულ უუდიდეს სანავთო საზოგადოებისაგან მიეღო დაპირება ნავთის მიწოდების შესახებ. და ამავე დროს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე, კლემანსო ამერიკის პრეზიდენტ ვილსონს შემდეგ დეპეშას უგზავნიდა:

«ამ ომის გადამწყვეტ წუთში, როცა მომავალ წელს საფრანგეთის ფრონტზე უმნიშვნელოვანესი სამხედრო ოპერაციები დაიწყება, საფრანგეთის ჯარს არც ერთ წუთში არ უნდა მოაკლდეს ნავთი, რომელიც სასიცოცხლოა მისი ავტომობილებისათვის, ჰაეროპლანებისათვის და არტილერიის ტრანსპორტისათვის. ნავთის მიწოდების საქმეში შეფერხება გამოიწვევს სწრაფულ ჩვენი ჯარის შეფერხებას და შეუძლია მოკავშირეები უვარგისს ზავზე აიძულოს...

... არ უნდა მოგვაკლდეს ნავთი, რომელიც ისე საჭიროა, როგორც სისხლი მომავალ ბრძოლებში».

ამის შემდეგ ანტანტას ნავთი არ მოკლებია, ანტანტამ გაიმარჯვა და ლორდ კერზონმა ერთ ბანკეტზე სთქვა: «ჩვენ მივცურდით გამარჯვებამდე ნავთის ტალღებზე».

ამ მსოფლიო ომში, ამბობენ, იყო ბრძოლა მოტორსა და რკინისგზას შორისო. გაიმარჯვა ნავთმა ქვანახშირზეო.

ამ შემთხვევაში ქვანახშირის ფრონტზე იყო გერმანია.

ლუდენდორფი თავის მოგონებებში აღწერს, თუ რა გაჭირვებას განიცდიდა გერმანიის ჯარი უნავთობისა გამო. ავსტროუნგრეთის გალიციის ნავთი საკმარისი არ იყო და ამიტომ გერმანული სტრატეგიის მიზანი შეიქნა რუმინეთის ნავთის ხელში ჩაგდება; აქედან შეტევა რუმინეთზე და ბუქარესტის ზავი 3-XII—1916 წლისა. სადაც კი იყო ნავთი, ჯარებიც იქით მიიწეოდენ; ამ სანავთო სტრატეგიას მისდევდა ორივე მეომარი მხარე.

ჩერჩილი თავის «უორლდ კრაზის»-ში აღნიშნავს, რომ ბეზიკა, ჰიფას და ალექსანდრეტას ოკუპაცია მათ პალესტინის ნავთიან ადგილების გამო მოხდაო. ასეთივე ბრძოლა იყო მოსსულის გარშემო, სპარსეთის სანავთო ადგილებისა გამო და სხვა.

იყო დრო, როდესაც ნავთს ჰქონდა მარტოდ ეკონომიურ-კომერციული მნიშვნელობა. ამ ეპოქაში სანავთო ბაზრების დასაპყრობად და ჰეგემონიისათვის იბრძოდენ მხოლოდ სანავთო კომპანიები: უზარმაზარი ტრესტი ამერიკულ სანავთო კომპანიათა, სტანდარდოილი, ინგლისური ანგლო-პერშიან კომპანია, როიალ დაჩ-შელი და სხვ. ეს ბრძოლა იყო სასტიკი და დაუზოგველი, მაგრამ იგი სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ნაკლებ ან სრულიად არ ეხებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც ინგლისის ფლოტი ნაწილობრივ ნავთის ხმარებაზე გადავიდა 1904 წელში და 1911 წელში ინგლისის მთავრობამ შეისყიდა ანგლო-პერშიან კომპანიის აქციები, და საზოგადო სახელმწიფო დაწესებულებად გადაიქცა, და შემდეგ მსოფლიო ომის დროს ნავთმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო, ნავთი შეიქნა თვით სახელმწიფოთა საზრუნავი საგანი და ამგვარად: კერძო სანავთო კომპანიებმა მიიღეს მნიშვნელობა პოლიტიკაში; ეხლა იბრძვიან ნავთიანი ადგილებისათვის და ნავთის გულისათვის, არა მარტო სანავთო კომპანიები, არამედ მათ ზურგს უმაგრებენ მთავრობები, და თვით მთავრობანი აწარმოებენ კიდეც სანავთო დიპლომატიურ, ფინანსიურ თუ კონცესიურ სანავთო პოლიტიკას.

სანავთო ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა ყველა ქვეყანა, სადაც საკმაო და სამრეწველო ნავთის ოდნობის შესაძლებლობა იყო და არის, და ამას ზედ ერთვის პოლიტიკური და გეოგრაფიული და სტრატეგიული მნიშვნელობა ნავთის მისაღებ მხარეებისა. სპარსეთი, კავკასია, რუმინეთი, პოლონეთი, ოსმალეთი, მექსიკო, კოსტა-რიკა, კოლუმბია, ვენეცუელა, ჯამბი, სახალინი და სხ. და სხ. შეიქნენ სანავთო პოლიტიკათა ბრძოლის ფრონტებად.

2.

მსოფლიო ომის დროს, როდესაც ოსმალეთი ჩაერია გერმანიის მხარეზე, დაუყონებლივ დაიწყო მან კავკასიის ფრონტზე შემოტევანი, რომელთა მიზანი იყო ბაქოს სანავთო მრეწველობის ხელში ჩაგდება. მაგრამ მაშინ ძლევამოსილმა რუსეთის ჯარმა უკუაგდო ოსმალეთის შემოტევა და ეხლა თვით გაეშურა სოფიოს ჯვრის ასაღებად. რასაკვირველია, ოსმალეთის გეგმაში მარტო ბაქოს არ ეკავა ერთად-ერთი ადგილი, რადგან გეგმის სულის ჩამდგმელნი ესწრაფოდენ კავკასიის ქედზე მთვარიანი დროშის აფრიალებას...

3.

მსოფლიო ომის დროს, როგორც გაკვრით ავნიშნე უკვე, გერმანია ნავთის ნაკლებობისა გამო მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ჯერ კიდევ ადრე, ამ კრიზისამდე ვალტერ რატენაუ ჰქადაგებდა: ომჟირნეთ მოეკიდეთ ნავთს, ისე როგორც პურსო. ეგრედ წოდებულ ჰინდენბურგის პროგრამაში ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და გენერ ალური შტაბი ბრძანებდა (II, № 86 895, 22-V-1918), რომ ნავთის მომჟირნეობასთან ერთად, მიღებულ უნდა იქნეს ყოველი ზომა ამ საწვავი მასალის მოსამარაგებლად, ურომლისოდაც, თუ ეს ზომები დაჩქარებულ არ იქნა, სამხედრო მეურნეობა დიდ ზარალს მიიღებსო. გერმანიის გენერალურმა შტაბმა მიმართა რაიხსკანცლერს, სამხედრო სამინისტროს და სხ. მოხსენებით, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ ნავთის მომარაგება გადამწყვეტი მნიშვნელობისა არისო.

ერიხ ლუედონდორფი ყველა ჯარის ნაწილს შემდეგ ცირკულიარს უგზავნიდა (II, № 9189): «მოთხოვნილება სამოძრაო მასალისა (ბენზინი, ბენზოლი, სათბობი ნავთი, სამოძრაო ნავთი) მეტად დიდია და კვლავ თანდათანობით გაიზრდება. ამის გამომწვევია წყალქვეშა ნავების გაზდილი მოთხოვნილება, ჰაეროპლანთა რიცხვის გადიდება და ცხენების სიმცირის გამო და სხვა მოვლენებისაგან გამოწვეული საბარგო ავტომობილების რაზმების შექმნა. ნავთის მომწოდებელი ჩვენი წყაროები განსაზღვრულია»...

თავის სამხედრო მოგონებებში ლუედენდორფი სწერს იმ გაჭირვების შესახებ, რომელსაც გერმანიის ხალხი და ჯარი განიცდიდა ნავთის ნაკლებობის გამო, და ამბობს:

«ქვანახშირსა, რკინასა და ფოლადთან ერთად ნავთის პროდუქტები წყალქვეშა ნავებისათვის, ავტომობილებისათვის და ჰაეროპლანებისათვის, და აგრედვე ნავთის ზეთი ომის წარმოებისათვის საერთოდ პირველი მნიშვნელობისაა. ამ შემთხვევაში ჩვენ დამოკიდებული ვიყავით ავსტრო-უნგრეთზე და რუმინეთზე. ვინაიდან ავსტრო-უნგრეთს არ შეეძლო საკმაო ნავთი მოეცა და ყველა ცდა ნავთის საჭირო ოდნობის მიღებისათვის, უშედეგოდ დარჩა, ამიტომ რუმინეთის ნავთს მიეცა ომის გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგრამ რუმინეთიდან ნავთის მიღების მიუხედავათ, ნავთის საკითხი მაინც მეტად სერიოზული დარჩა და იგი ამძიმებდა, როგორც ომის წარმოებას, ისე ცხოვრებას სამშობლოში...»

ამიტომ გერმანიას არ შეუწყვეტია ცდა ნავთის შოვნისათვის, და როდესაც რუსეთში რევოლუცია დაიწყო, აქეთ მიაპყრა მან თავისი ყურადღება.

4.

როდესაც 1917 წელს, რუსეთის რევოლუციის დაწყების შემდეგ, ფრონტები მოიშალა საერთოდ, მთელი კავკასია, რევოლუციის ცეცხლში გახვეული და მოუწყობელი პირისპირ აღმოჩნდა შეიარაღებულ ოსმალეთთან. 1917 წლის დეკემბერში მოსწყდა რუსეთის იმპერიის ჯარი კავკასიის ფრონტს და ოსმალეთისამ დაიწყო შემოტევა. ამავე თვეში ბრესტლიტოვსკში დაიწყო გერმანია-რუსეთის საზავო მოლაპარაკება, რომელზეც ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უარი განაცხადა. ბრესტლიტოვსკში ბოლშევიკებმა დაუთმეს ოსმალეთს ბათუმ-ყარსის რაიონები. 16 თებერვალს, 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმმა გადასწყვიტა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება და საზავო დელეგაცია, შემდგარი აზერბაიჯანელების, სომხების და ქართველებისაგან ტრაპიზონში გაემგზავრა. მაგრამ ვისი სახელით უნდა ელაპარაკა ამ დელეგაციას? ამიტომ 22 აპრილს 1918 წელს გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. მაგრამ აქვე ტრაპიზონშივე აღმოჩნდა, რომ ამიერკავკასია მთლიანი არ იყო, რომ აქ არ იყო წარმოდგენილი საერთო ინტერესი, რომ აზერბაიჯანი თვით ოსმალეთს უდგა მხარში და ამგვარად ოსმალეთს საუკეთესო ასპარეზი ეძლეოდა ამიერკავკასიის დასაპყრობად. ტრაპიზონის მოლაპარაკებამ გამოაშკარავა კავკასიის ერების სრული ეროვნული მოუმზადებლობა, და ამის შედეგად, ოსმალეთის ხელის შეწყობით, დაიშალა ამიერკავკასიის რესპუბლიკა.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობა, შემდეგ დღეს სომხეთისა და აზერბაიჯანის. საქართველოს თავისი თავი იარაღით უნდა დაეცვა ოსმალეთის წინაამდეგ და ამ მიზნით შველა სთხოვა ოსმალეთის მოკავშირე გერმანიას.

5.

როგორ მოხდა ეს, რომ გერმანიამ თავის თავზე აიღო საქართველოს დაცვა თავისი მოკავშირე ოსმალეთის წინაამდეგ? მან შეაჩერა ოსმალეთის შემოტევა, და ამით ზურგი გაუმაგრა საქართველოს დამოუკიდებლობას.

რასაკვირველია: გერმანიას თავისი ინტერესები ჰქონდა და ამის შესახებ, თუ რა იყო ეს ინტერესები, უნდა მივმართოთ გერმანიის ჯარის გენერალ კვარტირ მეისტერსს, ლუედენდორფს. რაიხსკანცლერს (№ R. 439. P.) 1918 წლის 9 ივნისს გენერალი ლუედენდორფი სწერდა:

«საქართველოში გვეძლევა შემთხვევა... მცირე მებრძოლი ძალებით ჩვენი ძლიერება გავზარდოთ: ჩვენ იქ ქართული არმია უნდა მოვაწყოთ. ამისათვის აუცილებლად საჭიროა საქართველოს სახელმწიფოს აღიარება და მისი დაცვა-მფარველობა. ამას ზედ ერთვის როგორც ზნეობრივი მომენტი ის ვითარება, რომ საქართველო ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ჩვენ კარგა ხანია დიდ იმედებს ვაძლევდით. გერმანიის მიერ საქართველოს აღიარება და დაცვა იქნება ამავე დროს ერთად ერთი საშვალება, მადაგახსნილი ოსმალეთი საქართველოსაგან შორს დავიჭიროთ. თორემ ისე საქმეთა გაძნელებანი იქ არ შესწყდება... თუ საქართველოში ჩვენ გვექნება დასაყრდნობი წერტილი, იმედი არის, რომ კავკასია თანდათანობით დაწყნარდება, და ჩვენ შეგვეძლება იქ არსებული ჩვენთვის ასე დაუყოვნებლივ საჭირო ნედლ მასალათა მიღება.

«მე განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ იქ ოსმალეთს ანგარიში უნდა გავუწიოთ და მისი სურვილებისთვის ერთგვარი დათმობის გრძნობა უნდა ვაჩვენოთ. რკინისგზა ბათუმიდან ტფილისზე ჯულფასაკენ მისი ოპერაციებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ჯარების გადაყვანა ამ გზაზე ოსმალეთისათვის უნდა უზრუნველვყოთ. ჩვენ ვერ დავთმობთ გერმანიის გავლენას ტფილის-ბაქოს რკინისგზის მოძრაობაზე. იქ ჩვენ ოსმალეთმა უპირატესობა უნდა დაგვითმოს... სახელმძღვანელო დებულებათ უნდა იყოს, რომ ოსმალეთმა არ უნდა ინებოს და ხელი არ უნდა შეგვიშალოს საქართველოს სამხედრო ძალის შექმნაში და კავკასიიდან ნედლ მასალათა გამოზიდვაში. ოსმალეთის მიერ ტფილის-ბაქოს გზის დაკავება და ბაქოს დაჭერა, რაც გამოიწვევს იქაურ სანავთო ინდუსტრიის განადგურებას, იქნებოდა ჩვენდამი მტრული მოქმედება...»

6.

ლუედენდორფის მიერ ამ მოხსენების 20 დღის შემდეგ ფოთში შემოვიდა გერმანიის ჯარის ნაწილი და საქართველო დაცულ იქნა ოსმალეთისაგან, მაშინ როცა ბრძოლა ბაქოს გარშემო მეტად გამწვავებულად გრძელდებოდა. ამ უკანასკნელ საკითხს კიდევ დავუბრუნდები *). ეხლა კი მსურს გაგაცნოთ ის გეგმა და მოსაზრებანი, რომელთა შესახებ გენერალი ლუედენდორფი თავის სამხედრო მოგონებებში სწერს:

«ბათუმში მოლაპარაკებისას საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მიმართეს გენერალ ფონ ლოსოვს და სთხოვეს გერმანიის სახელმწიფოს მიერ დაცვა-მფარველობა (შუც). 1915 და 1916 წლებში ჩვენ ვმუშაობდით ქართველ მოხალისეთა რაზმით სომხეთში, თუმცა უშედეგოდ. ამასთან ჩვენ შევედით ერთგვარ კონტაკტში გავლენიან ქართველებთან. მე შევძელ ამ დამოკიდებულებას და ეხლა საქართველოს თხოვნას გერმანიის სახელმწიფოს მიერ მისი დაცვის შესახებ, მხოლოდ მივსალმებოდი სამხედრო მოსაზრებით. ისინი გვაძლევდენ ჩვენ შემთხვევას, ოსმალეთისაგან დამოუკიდებლად, კავკასიის ნედლ მასალებთან მივახლოვებულიყავით და ტფილისზე გამავალ რკინისგზის მოძრაობაზე გავლენა მოგვეპოვებია. ჩრდილოეთ სპარსეთში ომის წარმოებისათვის იგი გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო და გერმანიის გავლენაში მყოფი მოძრაობა უფრო უნარიანი იქნებოდა, ვინემ ოსმალების თანამშრომლობით. დაბოლოს, ჩვენ უნდა შევცდილიყავით, ქართული ჯარების შექმნით ჩვენი თავი გაგვემაგრებია: მათ ჩვენ მოვიხმარდით ინგლისის წინაამდეგ. არც ის უნდა დაგვიწყებოდა, თუ კავკასიის მხარედან რა სიძნელენი შეიძლება წარმომდგარიყვენ. ამიტომ ვშუამდგომლობდი რაიხსკანცლერის წინაშე «საქართველოს სურვილები მხედველობაში მიეღო. სპაში მოლაპარაკების დროს, საქართველოში ჩვენი პოლიტიკის შესახებ, რაიხსკანცლერი დათანხმდა, რომ როგორც მისი წარმომადგენელი, ობერსტი ფონ კრესი, რომელიც პალესტინის ფრონტიდან გერმანიაში იყო დაბრუნებული, 1-2 დამცველი კომპანიით ტფილისში წასულიყო. საჭირო შეიქნა, რომ იქ ჩვენ ძლიერად გამოვსულიყავით. ამას მოითხოვდა... აგრეთვე ჩვენი მომარაგება ნედლი მასალებითა. ამ შემთხვევაში ხომ ჩვენ ოსმალებს ვერ დავეყრდნობით, ხელახლად დაგვიმტკიცა ეს მათმა საქციელმა ბათუმში. მათ მიითვისეს ყველა იქ ნახული საქონელი. ბაქოდან ნავთის მიღებაზე ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა, თუ ჩვენ ჩვენს თავს თვითონვე ვუშველიდით. ჩვენს ქვეყანაში ნავთის სიმცირე და მასთან, დაკავშირებული მთელი სიძნელენი ზამთარში განათებისა კარგად გვახსოვდა. მეშვიდე არმიის თავდასხმის შემდეგ აგრეთვე ჯარის სათადარიგო ნავთიც გამოილია; ის ჩვენ მეტად გვაკლდა. უკრაინული რკინისგზებიც საჭიროებდა აგრეთვე ნავთს. რუმინეთიდან ნავთის მიღება შესაძლებლობის ფარგლებში განსაკუთრებულად ავსწიეთ, მაგრამ ამის მიუხედავად ნავთის

*) «გერმანელი ჯარები მივიდენ ტფილისს როგორც დამცველნი ოსმალებისაგან და ამიტომ მეგობრულად სალამით მიღებულ იყვნენ. გერმანელებისათვის ეს ქვეყანა ძვირფასი იყო, როგორც მისასვლელი გზა ნავთით მდიდარ ბაქოსაკენ და სპარსეთისაკენ და თურქესტანისაკენ». კარლ კაუცკი: «გეორგიენ», გვ. 57. ვიენ, 1921.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაკლისის შევსებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ეს გვეჩვენებოდა ეხლა შესაძლებელად ამიერკავკასიიდან, განსაკუთრებით, ბაქოდან, თუ ამავე დროს სატრანსპორტო პირობანი წესრიგში იქნებოდა მოყვანილი. საველე რკინისგზების უფროსს უნდა გამოერკვია სანავთო გემების საკითხი. რკინისგზა ბათუმი-ტფილისი-ბაქო, რომელსაც ბევრი ცისტერნები ჰქონდა, მოძრაობაში უნდა მოეყვანა ობერეც ფონ კრესს ოსმალეთთან შეთანხმებით. ბუნებრივია, გადამწყვეტი იყო საკითხი, თუ როგორ მივიდოდით ბაქოში. საბჭოთა მთავრობისათვის ანგარიშის გაწევამ ხელი შეგვიშალა აქაც ნამდვილი და სწრაფი მოქმედებისთვის»...

7.

საბჭოთა რუსეთისადმი ეს ანგარიშის გაწევა ჩვენთვის ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ ბაქოს მდგომარეობას 1918 წელში.

1918 წლის მარტში ბაქოში მოხდა ბოლშევიკების აჯანყება, და მათ მიერ ქალაქი დაკავებულ იქნა; ამ დროს კი ბოლშევიკურ რუსეთსა და აზერბაიჯანს შუა თეთრგვარდიელთ ეკავათ ტერიტორია, მაშასადამე, ბოლშევიკები თავის ცენტრს მოწყვეტილი იყვნენ და ეს აჯანყებაც მხოლოდ სიგიჟით გამოწვეული. 1918 წლის 27 მაისს, განჯაში გამოცხადდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა და მიზნად დასახული იყო ბაქოს განთავისუფლება. ბაქოს ბოლშევიკები ბრძოლისათვის ემზადებოდენ, მაგრამ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალდემოკრატები, რომელნიც აღიარებდენ ბაქოს დაცვის სიძნელეს, მოითხოვდენ ბაქოს დაცვაში დასახმარებლად სპარსეთიდან ინგლისელები მოეწვიათ. ეს საკითხი დაისვა ბაქოს საბჭოში, სადაც ბოლშევიკებმა პრინციპიალურად უარყვეს იმპერიალისტების მოწვევა, მაშინ როცა ბაქოს საბჭომ ხმის უმრავლესობით ეს გადაწყვიტა 13 ხმის უმრავლესობით, ივლისის 25-ს 1918 წ. ამის შემდეგ ბაქოში შემოვიდა, მოწვევის თანახმად, ინგლისის რაზმი გენერალ ტომსონის ხელმძღვანელობით.

რათ აიტკივეს თავი ინგლისელებმა და სპარსეთიდან ბაქოში შემოვიდენ?

ვიკ. ნოზაძე.

საქართველო ციფრებით

(ცდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა)

(გაგრძელება)

13.

დაახლოვებით ასეთსავე ჩამორჩენას გვიჩვენებს მეორე ძვირფასი დარგი სასოფლო-მეურნეობისა—მეთამბაქოობა!

1913 წელს თამბაქოს პლანტაციებს ეკავათ საქართველოში 9.651 დესეტინა (აქედან კერძოთ აფხაზეთში—8.037); 1914 წელს ხსენებულ პლანტაციებს უკვე 15.883 დესეტინა უჭირავს (აქედან აფხაზეთში 13.107). თამბაქო მოიჭრა: 1913 წელს 555.5 ათასი ფუთი; 1914 წელს კი 823,8 ათასი ფუთი (ნარ. ხოზ. ზაკავ.) 1913-1916 წლ., საშუალოდ, საქართველოს ტერიტორიაზედ წელიწადში მოსულა 650.000 ფუთი (აქედან 77 პროც. აფხაზეთშია მოსული).

აი რა გზა მიეცა მთელ ამ თამბაქოს (დ. აფხაზი):

1) თვით მეურნემ მოიხმარა—შინ — 56.000 ფ.

2) ადგილობრ. ფაბრიკებ. დამუშავდა 60.000 ფ.

3) სასღვრების გარეთ გავიდა 590.000 ფ.

თუ ვიანგარიშებთ, რომ თითო ფუთი ომამდე 15 მან. ფასობდა, მთელი თამბაქოს წლიური მოსავალი შეფასდება—9.840.000 მანეთად; აქედან საზღვარ გარეთ გასულა 7.650.000 მანეთის ღირებულება.

სასოფლო-მეურნეობაში თამბაქოს მოყვანა დიდ შემოსავლიან წყაროთ ითვლება; სწორედ ამიტომ სხვა ქვეყნებში ცდილობენ ფართე ალაგი მიუჩინონ ამ კულტურას, მეტადრე იქ, სადაც მუშა ხელის ნაკლებობას არა აქვს ადგილი. ჩვენი ქვეყანა სწორეთ ასეთია და ამიტომ არ არის მიზანშეწონილი, რომ თამბაქოს პლანტაციებს ჩვენში შედარებით მცირე ალაგი აქვს დათმობილი. უეჭველია, რომ საქართველოს ნიადაგი და ჰავა გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევიან პლანტაციების გაფართოებისათვის. სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ რომ კრებები იმართებოდა ტფილისში (ოქტომბერში), იქ გამოცხადებული იყო, რომ 5 წლის განმავლობაში განზრახულია თამბაქოს პლანტაციები აყვანილ იქნეს 21.000 ჰექტარამდე, «შეიძლება მისი კიდევ გაფართოებაო, რაც წლიურად მოგვცემს 25-30 მილიონ მანეთსო».

სამი უმთავრესი ნაკლი ემჩნევა ჩვენს მეთამბაქოობას.

ჯერ ის, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით მოსავალი მცირეა. აი რას გვიჩვენებს მოსავლის ცხრილი, რომელიც ნ. ხომერიკს მოჰყავს თავის წიგნში:

ქვეყანა	მოსავალი კილოგრამებით (ფუთში 16,380 კილოგრამია) თითო ჰექტარზედ
საქართველო	720
საფრანგეთი	1150
გერმანია	1650
ჰოლლანდია	1820

მეორე ნაკლი არის იმ მიწების მცირე რაოდენობა, რომელიც ჩვენში ამ კულტურისათვისაა მიკუთვნილი. ომის წინ თამბაქო მოყავდათ მხოლოდ 10-12 ათას დესეტინაზედ. ამავე დროს მაზრობრივი განაწილებით თამბაქოს პლანტაციებისა ერთობ უწესრიგოდ ხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნ დ. აფხაზის წიგნში ეს განაწილება ასეა ნაჩვენები:

მდებარეობა	ათასი დესეტ. (1916 წ.)	პროც.
აფხაზეთი	10,6	84
აღმოსავლეთი საქარ.	1,5	10
დასავლეთი საქართვ.	0,3	3
აჭარა	0,4	3

როგორც ვხედავთ საქართველოში საშუალოდ 7.2 კვინტალი (100 კილოგრამი=1 კვინტალი) ყოფილა თამბაქოს მოსავალი ჰექტარზედ, საფრანგეთში კი 11.50 კვინტალი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ნორმები მაჩვენებელია მხოლოდ საშუალო მოსავლის. შედარებისათვის მოვიყვანთ საფრანგეთის დეპარტამენტის ისეთს მეთამბაქოობის ცნობებს, საიდანაც ნათლად დავინახავთ, თუ რარიგადაა ჩვენში ჩამორჩენილი ეს დარგი სასოფლო მეურნეობისა.

დეპარტამენტი იზერი ბევრს შემთხვევაში ჩვენს ზემო-იმერეთს მოგაგონებთ, ან ქართლის კავკასიონის მთებთან ახლო მდებარე ადგილებს. მთლად დეპარტამენტი შეიცავს 823.658 ჰექტარ ფართობს; 525.522 მოსახლეობით. მთელს ამ არეზედ 1919 წელს მეთამბაქოობას ეჭირა 16627 ჰექტარი, ე. ი. თითქმის იმდენივე, როგორც კახეთში. თითო ჰექტარზედ მოდიოდა 20 კვინტალი, 42 და მისი ღირებულობა იყო ოთხი მილიონი ფრანკი (ოქროსი).

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იზერის და, მაგალითად, კახეთის მეთამბაქოობის მდგომარეობა მოვიყვანთ ასეთ ცხრილს: (საშუალო ციფრით)

	თამბ. პლან. სივრცე	მთელი მოს.	ღირებ.
კახეთი	1650 ჰექტ.	16.072 კვინ.	480.000 მან.
დეპარ. იზერი	1680 »	28.695 »	4 მილ. ფრ.

მოსავლის ასეთი დიდი განსხვავება მეტ წილად იმითი აიხსნება, რომ საფრანგეთის მთავრობა განსაკუთრებულის ყურადღებით ექცევა თამბაქოს პლანტაციებს საფრანგეთში, სადაც შემოღებულია მონოპოლია (Le Régie) თამბაქოზე და სადაც მთავრობის მეცნიერნი და ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ კერძო მეთამბაქოების პლანტაციებს, რჩევა-დარიგებით, საუკეთესო თესლის მიწოდებით და მეცნიერულ მიღწევათა გამოყენებით.

მესამე ნაკლი ჩვენი მეთამბაქოობის იმაში გამოიხატება, რომ, ომამდე, შინ სახმარად და ადგილობრივ ქარხნებში გადასამუშავებლად, მთელი მოსავლის 4 პროც. მოდიოდა, და ნედლ მასალათ გადიოდა 96 პროც., როდესაც შესაძლებელია, რომ მთელი თამბაქო შინ დამუშავდეს და საზღვარ გარეთ კი მხოლოდ სართავი პროდუქტი იყოს გატანილი.

სწორედ ასე იქცევა პატარა ჰოლანდია.

საკუთრივ ჰოლანდიის მიწაზედ ნაკლებად მოყავთ თამბაქო, ისიც რაც მოდის ნედლ მასალათ იყიდება ინგლისსა და გერმანიაში. იმ თამბაქოების უდიდესი ნაწილი, რაც ჰოლანდიის ფაბრიკებში მუშავდება—ჰოლანდიის ინდოეთის კოლონიებიდან მოდის. იმ კოლონიებში ეს კულტურა არ არის, მაინც და მაინც, მეცნიერულად დაყენებული, რის მიზეზიც უმთავრესად ადგილობრივი პრინცებ-ფეოდალების აგრარული პოლიტიკაა. მიუხედავად ამისა ადგილობრივ მცხოვრებლებს საუცხოვო თამბაქო მოყავთ იმ კოლონიებში, ვინაიდან ჰავა და ნიადაგი ერთობ სახეიროა იქ თამბაქოს კულტურისათვის. თამბაქოს მოყვანაში ჩაბმულია, როგორც ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრებნი (26.000 იავანელი), ისე ჩინელებიც (90.000 მუშა). 1906-7 წელს ნიდერლანდიის ინდოეთიდან გატანილი იყო ევროპაში 57.583.262 კილოგრამი თამბაქო; ამას გარდა შინ მოიხმარეს 7.523.193 კილოგრამი. მთელ ამ მოსავლის ღირებულობა უდრიდა 45-50 მილიონ ფლორინს (1 ფლორინი თითქმის 1 ოქროს მანეთია).

მეჩვიდმეტე საუკუნიდან დაწყებული ჰოლანდიას ფაბრიკებში თამბაქოს ფოთლებიდან სამგვარი პროდუქტი მზადდებოდა: მოსაწევი თუთუნი, ბურნუთი და საღეჭი თამბაქო. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალიან შემცირდა იმ ქარხნების რიცხვი, სადაც თამბაქო იფხვრებოდა, დარჩნენ მხოლოდ ისეთნი, სადაც ეს ოპერაცია თანამედროვე მოწყობილობითა ხდებოდა. სამაგიეროდ ძალიან გაიზარდა რიცხვი სიგარების ფაბრიკების, სადაც ათასობით მუშა-ხელია ჩაბმული. ვინაიდან სიგარებს ამზადებენ არა მხოლოდ ფაბრიკებში, არამედ კერძო ბინებშიაც, ძნელია მუშების რიცხვის სწორედ გამოანგარიშება. დაახლოვებით კი ჰოლანდიელი სტატისტიკოსები აღნიშნავენ, რომ ამ დარგში ჩაბმულია არა ნაკლები 20.000 მუშისა. ამ ჟამად ჰოლანდიაში მოქმედობს კიდევ ოთხი პაპიროსის ქარხანა: ორი ამსტერდამში და ორიც როდერდამში.

ჰოლანდიიდან გატანილი ყოფილა საზღვარ გარეთ («Le Pays-Bas» გვ. 617).

წლები	თამბაქო დაჭრ. თუ დაფხვნილი	სიგარები და პაპირ.	სულ გადამ. ქარხნებში
1901	1.349.347 კილ.	1.622.132 კ.	2.971.479 კ.
1909	2.310.000 „	1.616.876 „	3.926.000 „

საქართველოში კი 8.850.000 კილოგრ. ნედლ თამბაქოდან გადამუშავდა (1913 წელს) ადგილობრივ ქარხნებში მხოლოდ 984.000 კილოგრამი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის მეთამბაქოობა ასე ყოფილა დანაწილებული: (1915 წელს)

მოსულა თამბაქო:		
საქართველოში	575.000 ფუთი	= 94 პროც.
აზერბეიჯანში	53.000 ფუთი	6 პროც.
სომხეთში	3.000 ფუთი	
		100 პროც.

(გაგრძელება იქმნება)

—ლი—ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთი დამოუკიდებლობას თხოულობს

ინდოეთის იმპერია შესდგება ორი ნაწილისაგან: «ბრიტანეთის ინდოეთი» და ინედოეთის ადგილობრივი სახელმწიფოები. «ბრიტანეთის ინდოეთი» ინგლისის უბრალო პროვინციებს წარმოადგენს და მისგან სრულ დამოკიდებულებაშია. ინდოეთის ადგილობრივი სახელმწიფოები კი წარმოადგენენ იმ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელნიც ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებიან და რომელთა მცხოვრებნი ბრიტანეთის მოქალაქეთ არ ითვლებიან. ეს ადგილობრივი სახელმწიფოები ვითომ ერთნაირი ავტონომიური ერთეულებია, რომელთაც თავიანთი ჩამომავლობითი პრინცები ყავთ მართველებად. პრინცები აღჭურვილნი არიან «სუვერენული» უფლებებით იმდენად, რამდენად მათი სუვერენობა არ არის შეკვეცილი ინგლისის მეფესთან დადებული რაიმე ხელშეკრულებით. ინდოეთის ადგილობრივი სახელმწიფოები ინგლისის მეფესთან დადებული ხელშეკრულების ძალით უარს ამბობენ საგარეო და სამხედრო საქმეების გამგეობაზე. მათ არ შეუძლიათ პირდაპირ დამოკიდებულება იქონიონ უცხო სახელმწიფოებთან და იყოლიონ მათთან დიპლომატიური წარმომადგენლები, თუ საკონსულო აგენტები. მათ არ აქვთ უფლება ომის გამოცხადებისა, ან და ვისმესთან რაიმე ხელშეკრულების დადებისა. მათ შეუძლიათ იყოლიონ მხოლოდ იმდენი და იმ სახის სამხედრო ძალები, რამდენადაც ეს განსაზღვრულია ინგლისთან ხელშეკრულებით.

თუ ინდოეთის ადგილობრივი სახელმწიფოების სუვერენობა ასეთნაირათ უარყოფილია, სამაგიეროთ ინგლისი პირდება მათ დაიცვას ისინი ყოველგვარ გარეშე ძალადობისაგან და აგრესივობისაგან, დაეხმაროს მათ შინ წესრიგის დასამყარებლათ და ყოველგვარ აჯანყებების, თუ რევოლიუციების ჩასაქრობათ. ინგლისის მთავრობას უფლება აქვს გადააყენოს ტახტიდან ესა თუ ის პრინცი, თუ ის უვიცობას იჩენს მართვა-გამგეობის საქმეში და თუ ტახტზე მისი ყოფნით სახელმწიფოს საშიშროება მოელის. ის თვალყურს ადევნებს პრინცების ტახტზე ასვლის ჩამამავლობითს უფლებებს და გადაჭრით ებრძვის ინდოეთის ადგილობრივ სახელმწიფოების მართვ-გამგეობის ისეთ ნაბიჯებს, რომელიც, ინგლისელების აზრით, ინდოეთის იმპერიას ხიფათს უმზადებს. საერთოდ კი ინგლისის პროტექტორატით ინდოეთის სახელმწიფოებში უფრო დაცულია იქაური პრინცების, ვიდრე მცხოვრებლების, ინტერესები. პრინცებს ეძლევათ სუბსიდიები, მათ საშვალება აქვთ იყოლიონ დიდი სამხედრო ძალები და, როცა საჭირო იქნება, ინგლისელებისავე დახმარებით ალაგმონ თავიანთი ქვშევრდომნი.

ინდოეთის იმპერიის 320 მილიონ საერთო მცხოვრებლებიდან ინდოეთის ადგილობრივ სახელმწიფოთა მცხოვრებლების რიცხვი 70 მილიონამდე იქნება. თვით ამ სახელმწიფოთა რიცხვი 500 ადის, ბევრი მათგანი სივრცით ძლიერ პატარაა და სულ რამდენიმე ათეულ სოფელს წარმოადგენს. «ბრიტანეთის ინდოეთი» ტერიტორიითაც და მცხოვრებთა რიცხვითაც ოთხჯერ მეტი იქნება ინდოეთის ადგილობრივ სახელმწიფოებთან შედარებით.

ინგლისის პროვინციები—«ბრიტანეთის ინდოეთი» უფრო ზღვის პირათ და დიდ მდინარეთა მდიდარ ხეობების გასწვრივ მდებარე ადგილებია, ინდოეთის ადგილობრივი სახელმწიფოები კი მეტნაწილად მთა-გორაკიან ადგილებს შეიცავს. გეოგრაფიული ასეთი განაწილება უნდა ვეძიოთ მეთვრამეტე საუკუნის ინგლის-ინდოეთის ისტორიაში. იმ დროს ინგლისი ინდოეთში კომერციული მიზნით მივიდა და იქ აღმოსავლეთ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია დაარსა. შემდეგ, როცა ინგლისელ ვაჭრებს და კომერსანტებს მადა გაეზარდათ, მათ უფრო ფართო ბაზარი დასჭირდათ და სხვა უცხო ქვეყნებთანაც მეტოქეობის გაწევაც მოუხდათ (1757 წ.). ისინი დახმარებისათვის და მათი ინტერესების დასაცავათ ინგლისის მთავრობას მიმართავდენ. უკვე აქედან იწყება ინდოეთის სხვადასხვა პროვინციების შემოერთება ინგლისის მიერ. ინგლისელები კი ეტანებოდენ ისეთ ადგილებს, რომელნიც მათ ვაჭრობის მიზნებს უფრო შეეფერებოდათ. რასაკვირველია, არჩევდენ ზღვის პირათ მდებარე ადგილებს, სადაც გემებს შეეძლებოდათ ადვილათ მიდგომა და ხეობებს იმ დიდ მდინარეების ირგლივ, რომელზედაც ნაოსნობის გაჩაღება მოსახერხებელი იქნებოდა.

პირველ ხანებში კომერსანტებს ნაკლებათ აინტერესებდათ ღარიბი მთა-გორიანი ადგილები და იქ მობინადრე პრინცები. იმ დროს ინდოეთის პრინცები სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ და აბსოლუტურათ განაგებდენ თავიანთ ქვეყნებს.

აღმოსავლეთ ინდოეთის სავაჭრო კომპანია, რომლის უკან ინგლისის მთავრობა იდგა, ინდოეთის პროვინციებს ერთი მეორეზე იპყრობდა და იერთებდა. შემდეგ დაპყრობილი ტერიტორიის სივრცე ისე დიდი შეიქნა, რომ იქ ძალა უფლების შენარჩუნები და გარეშე საფრთხიდანაც თავის დაცვა მარტო ინგლისელების ძალით მეტად გაძნელდა. საჭირო გახდა, კომპანიას პრინცებს შორის ქიშპობა ესარგებლა, ზოგ მათგანთან კავშირი შეეკრა და ამ გზით უფრო ადვილად ებატონებია და დაპყრობის და კოლონიზაციის პოლიტიკა ეწარმოებია. ინგლისი ინდოეთის ადგილობრივ სახელმწიფოებთან თანდათან ხელშეკრულებას სდებდა და მათთვის ამა თუ იმ დახმარების გაწევის მიზნით მათ უფლებებს ზღუდავდა და მათზე თავის პროტექტორატს ავრცელებდა. აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია ინდოეთში ყოვლის შემძლებელი შეიქნა და მისი აგენტები წარმოუდგენლათ გათავხედდენ, რასაც შედეგათ მოყვა ინდოეთის დიდი აჯანყება 1857 წელს. ინდოეთის ზოგ ლოიალურ პრინცების დახმარებით ეს აჯანყება ჩაქრობილ იქნა ინგლისის მთავრობის მიერ და აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის მთელი მფლობელობა და აღმასრულებელი ძალა ინგლისის მეფეს მიეკუთვნა 1858 წელს. 1877 წელს კი დედოფალმა ვიქტორიამ ინდოეთის იმპერატრიცათ გამოაცხადა თავის თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ხელისუფლებამ შესძლო შედარებით, მშვიდობიანობა დაემყარებია ინდოეთში დედოფალ ვიქტორიის მეფობის დროს. 1905 წლიდან კი ინდოეთი იღვიძებს და იქ ფართე ნაციონალური მოძრაობა იწყება. ინდოელები ხმას იმაღლებენ ინგლისელების ბატონობის წინააღმდეგ და ინდოეთის თვითმართველობას თხოულობენ. მაგრამ ეროვნული მოძრაობა ინდოეთში განსაკუთრებით დიდ ომის დროს და მის შემდეგ ვითარდება.

ომის დროს ინდოეთს ინგლისელებთან მეტად ლოიალური განწყობილება ჰქონდა და მასთან და დომინიონებთან ერთად ომის ველზე დიდი ჯარი გაგზავნა და დიდი მსხვერპლიც გაიღო. უკვე 1914 წელს ინდოეთმა 70.000 კაცი გაგზავნა საფრანგეთში. 1915 წელს კი მან სხვადასხვა ფრონტზე 200. 000 კაცი გაგზავნა. დიდი ომის დროს ინდოეთმა სულ 1. 000. 000 მეტი ჯარის კაცი გამოიყვანა საომრათ. და ეს მაშინ როცა მოკავშირეთა საწინააღმდეგო კოალიციაში ოსმალეთი იღებდა მონაწილეობას. ინდოეთში კი ხომ 70 მილ. მუსულმანი მცხოვრები არის.

ინდოელებმა დიდი ომის დროს მთელ ქვეყანას დაანახვეს, რომ მათ საუკეთესო სიმამაცით, ვაჟკაცობით და ცოდნით შეუძლიათ დავალებული მოვალეობის შესრულება. მაგრამ ამავე დროს მათ უღრმესად იგრძნეს და შეიგნეს ისიც, რომ ამა თუ იმ დავალებებთან და მოვალეობასთან მათ უთუოთ უნდა ქონდეთ ის უფლებებიც, რასაც სხვა თავისუფალი ერები სარგებლობენ.

ომის დროს სამხედრო საქმეების საკოორდინაციოთ ინგლისის მთავრობის მიერ შექმნილ იქმნა საიმპერიო სამხედრო კაბინეტი (1917-1918 წ.). მაშინ ინგლისის ინტერესები მოითხოვდა ამ კაბინეტში დომინიონების წარმომომადგენლებთან ერთად ინდოეთის წარმომადგენელიც ყოფილიყო მოწვეული. როცა სამხედრო-საიმპერიო კაბინეტი ზავის ჩამოგდების შემდეგ პარიზში გადავიდა ბრიტანეთის დელეგაციის მანდატით, ვერსალის ხელშეკრულებას სხვებთან ერთად ინდოეთის წარმომადგენელმაც მოაწერა ხელი. ამ აქტით კი ინდოეთს უფლება ეძლევა იყოს ერთა ლიგის წევრი. ყველაფერი ეს ხთებოდა, ვითომც ინდოეთი სრულიად თავისუფალი, ან და დომინიონის სტატუტით აღჭურვილი ქვეყანა ყოფილიყოს. სამწუხაროთ ეს ასე არ იყო და ინდოეთის პოლიტიკური უფლებები ომის დროსაც და ომის შამდეგაც ისევე შეზღუდული რჩებოდა, როგორც ამას ომის წინ ქონდა ადგილი. აქ აღსანიშნავია ერთი რამ: ინდოეთის წარმომადგენელი, იღებდა ის წინეთ მონაწილეობას საიმპერიო კონფერენციებზე, თუ არის ის დღეს ერთა ლიგის წევრი, არჩეულია არა თვით ინდოელების მიერ, არამედ დანიშნულ-წარგზავნილია ინგლისის მთავრობისგან.

1916 წელს ინდოელები ანნა ბეზენტის მეთაურობით ჰომრულის დროშას აფრიალებენ და ინდოეთის მთავრობის და საკანონმდებლო დაწესებულების რეფორმებს თხოულობდენ. 1917 წელს ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი—მონტეგიუ აცხადებს, რომ ბრიტანეთის მთავრობა შეეცდება, ინდოეთში თანდათანობით თვითმართველობა შემოიღოსო. მაგრამ ეს განცხადება მხოლოდ განცხადებათ რჩება და პრაქტიკულათ არაფერი კეთდება. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ ზავის შემდეგ (1918 წელს) ინდოელ ნაციონალისტების ლიდერის—განდის ხელმძღვანელობით მთელ ინდოეთში ინგლისის საწინააღმდეგო მასიური მიტინგები და დემონსტრაციები იმართება. განდის ატუსაღებენ. ინგლისელების რეპრესიები საერთო უკმაყოფილებას იწვევს ინდოეთში. ინდოელების ეროვნული სულისკვეთება კიდევ უფრო ღრმავდება. 1920 წელს განდი და მისი ამხანაგები პასიური ბოიკოტის პოლიტიკას აწარმოებენ ინგლისელების მიმართ. 1923 წელს, ინდოელების ეროვნულ ყრილობაზე, ნაციონალისტების მემარცხნე ფრთა (სვარაჯისტები) კიდევ უფრო ძლიერდებიან და შემდეგ ინგლისელებს მათ წინააღმდეგ არა ერთი და ორი სასტიკი ზომების მიღება დასჭირდათ. დაბოლოს, 1927 წლის დამლევს ინგლისის თემთა პალატა საიმონის თავმჯდომარეობით ნიშნავს კომისიას, რომელიც უნდა გამგზავრებულიყო ინდოეთში, ადგილობრივათ გამოერკვია მთელი მდგომარეობა და შემდეგ თავისი დასკვნები პალატისათვის წარედგინა. ეს კომისია სულ თემთა პალატის წევრებისაგან შესდგებოდა და მათ შორის არც ერთი ინდოელი არ იყო. კომისიის ასეთმა შემადგენლობამ დიდი უნდობლობა გამოიწვია მთელ ინდოეთში და როცა კომისია ჩავიდა იქ 1928 წლის დასაწყის, ინდოელები მას საერთო ბოიკოტით შეხვდენ. კომისიასთან თანამშრომლობაზე დასთანხმდენ მხოლოდ ინდოელი ლიბერალები. 1928 წელს ინდოელების ნაციონალურმა კონგრესმა კალკუტაში მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქმვამია, რომ თუ 1929 წლის დამლევისთვის ინგლისი უკვე არ შემოიღებდა ინდოეთში დომინიონის სტატუტს, კონგრესი ამის შემდეგ ინდოეთის ინგლისიდან სრული გამოყოფის პოლიტიკას დაადგებოდა.

1929 წელს ინგლისში მუშათა მთავრობა დგება. მუშათა პარტია არჩევნებში ინდოეთისათვის დომინიონის სტატუტის ლოზუნგით გამოდიოდა. ამის წინეთ კიდევ მუშათა პარტიის ლიდერი—მაკდონალდი მუშათა პარტიების საიმპერიო კონფერენციაზე ამბობდა, რომ ინდოეთის დომინიონათ გახდომის საკითხი არა წლების, არამედ მხოლოდ თვეების საქმეაო. ინდოეთში ამან დიდი იმედები აღძრა. გასულ ზაფხულში ინდოეთიდან ლონდონში ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელნი ჩამოვიდენ და ბჭობა ქონდათ მთავრობასთან. იყო აგრეთვე ლონდონში ინდოეთის მთავარმართებელი (Vice-roi) ივრინი, რომელმაც ითათბირა, როგორც მთავრობასთან, ისე საკუთარ პარტიასთან (კონსერვატორებთან). როცა ივრინი დაბრუნდა ინოოეთში, იქ საჯაროთ განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის მახლობელი მიზანია დომინიონის სტატუტი შემოიღოს ინდოეთში. ირვინის ამ განცხადებამ ინგლისის კონსერვატორულ და ლიბერალურ წრეებში დიდი აურზაური და ხმაურობა გამოიწვია. ოპოზიციის ორივე პარტიამ თემთა პალატაში შეკითხვა შეიტანეს და მთავრობას პასუხი მოსთხოვეს, თუ რას ნიშნავდა ინდოეთის მთავარმართებლის ასეთი განცხადება და თუ ეთან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმებოდა მთავრობა ამ განცხადებას. როცა მთავრობამ დაინახა, რომ ინგლისის საზოგადოებრივ აზრის უმეტესობა ინდოეთისათვის დომინიონის სტატუტის მინიჭების წინააღმდეგია, მან ინტერპელიანტებს პირდაპირი პასუხი ვერ გასცა, კითხვებს მოხდენილად გვერდი აუხვია, საიმონის კომისიის მუშაობის დაუმთავრებლობა მოიმიზეზა და განაცხადა, რომ უნდა დაუცადოთ კომისიის დასკვნებს ამ საკითხის შესახებო. ეჭვს გარეშეა, რომ მუშათა მთავრობას აზრათ ქონდა ინდოეთში დომინიონის სტატუტის შემოღება ამ ახლო მომავალში და ფიქრობდა, რომ ამ საკითხსაც შედარებით ისევე უმტკივნეულოთ ჩაატარებდა. როგორც ეგვიპტისას. მაგრამ, როცა მთავრობამ დაინახა, რომ ოპოზიცია მეტად ძლიერი გამოდგა, უკან დაიხია: მას არ უნდა ინდოეთის საკითხის გამო გადაადგონ და შესაძლებელ ახლო მომავალ არჩევნებში ამ საკითხის გარშემო გამართულ ბრძოლაში დამარცხდეს.

შექმნილმა ასეთმა მდგომარეობამ ინდოელების დიდი უკმაყოფილება და მათი იმედების გაცრუება გამოიწვია. ამას შედეგათ მოყვა ის, რომ ამ წლის დასაწყისში ლაჰორაში ინდოელების ნაციონალურმა კონგრესმა სოციალისტ ჯავაჰარლალ ნეხრუს თავმჯდომარეობით მიიღო დადგენილება, რომლის ძალით მისი აწინდელი მუშაობა და მოქმედება ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობისაკენ უნდა იქნას მიმართული.

განდი ინდოელების სხვა ლიდერებთან ერთად ეხლა უარს აცხადებს ინდოეთში ინგლისელებთან თანამშრომლობაზე და მთელ ხალხს მათდამი ბოიკოტისაკენ მოუწოდებს. განდი დღეს ინდოეთისათვის დომინიონის სტატუტს აღარ სჯერდება და მოითხოვს ინგლისისაგან სრულიად ჩამოშორებას. შეიძლება ეს განდის და მისი მეგობრების ტაქტიკური ხერხი იყოს. ყოველ შემთხვევაში ინდოეთის საზოგადოებრივი აზრის ზრდას და მიმდინარეობას დღეს რევოლიუციონური პერიოდების გარკვეული ელფერი აქვს. ეხლა იქ ზომიერებით ითვლება ის, რაც გუშინ უკიდურესობათ იყო მიჩნეული. დღეს ინდოეთში დაახლოვებით იგივე მდგომარეობაა, რაც იყო ირლანდიაში 1919-1920 წლებში. ირლანდია დიდი ხნის განმავლობაში ჰომრულს მოითხოვდა. მას ამაზე უარს ეუბნებოდენ, ან და მას უბრალო დაპირებებით კვებავდენ. დაბოლოს იმედებ გაცრუებულ ირლანდიამ ჰომრული აღარ იკმარა და ინგლისისაგან სრულ ჩამოშორების გზას დაადგა. უკვე ინდოეთსიც ყავს ეხლა თავისი დევალერა. ინდოელების ერთი ლიდერთაგანი—ბოუზი განდის პასივურ წინააღმდეგობას და ბოიკოტს არ ეთანხმება და მთავარი მიზნის მისაღწევათ მოითხოვს ყოველგვარ სასტიკ და მკაცრ ზომების მიმართვას. არის შესაძლებელი, რომ სამოქალაქო ომმა იფეთქოს ინდოეთში იმავე სახით, რა სახითაც ეს მოხდა ირლანდიაში 1919-1920 წლებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ინგლისელებს სამ მილიონიან ირლანდიელებთან ქონდა საქმე, ეხლა კი შესაძლებელია მათ წინააღმდეგ 300 მილიონი ინდოელი დაირაზმოს.

ლოიდ ჯორჯი, ბერკენხედი და სხვები ირწმუნებიან, რომ ინდოელები ვვლურები არიან, რომ ისინი უინგლისელებოთ თავს ვერ მოუვლიან და ერთმანეთს დასჭამენო. მაგრამ ლოიდ ჯორჯი და ბერკენხედი სწორედ ამასვე ირწმუნებოდენ ამ ათი წლის წინეთ ირლანდიელების შესახებაც. დღეს კი ყველამ უწყის, რომ ირლანდიელები მშვენივრათ ცხოვრობენ და დიდის ნაბიჯითაც მიდიან წინ.

მართალია ინგლისს დიდი ინტერესები აქვს ინდოეთში: იქ მილიონებით არის დაბანდებული ინგლისელების კაპიტალი, ინდოეთი უდიდესი ბაზარია აგრეთვე ინგლისისათვის. მაგრამ ინგლისელების ინტერესების დაცვა და მრავლა ინდოეთში გაცილებით უკეთ შეიძლებოდა იქ თვითმართველობის და თავისუფლების შემოღებით, ვიდრე მასთან მუდმივი შუღლის და კონფლიქტების წარმოებით. დღეს ბევრრამ არის დამოკიდებული ინგლისის მუშათა მთავრობისაგან. რამდენადაც ის მერყეობას და გაურკვევლობას თავს გაანებებს, რამდენადაც ის ინდოეთისათვის დომინიონის სტატუტის შემოღებისათვის ხმას აღიმაღლებს და საამისოთ ინგლისის საზოგადოებრივ აზრსაც მოამზადებს, იმდენათ ინდოეთის მოსალოდნელ დიდ ანარქიას და კრიზისს ქვეყანას თავიდან ააცილებს.

ვ. ზ.

სახელმწიფოთა კონფედერაცია და ფედერატული კავშირი

საკითხი, რომლის განხილვას ვაპირებთ ჩვენს წერილში, დიდს ინტერესს შეიცავს: უნიტარული სახელმწიფოების რიცხვი მცირდება და ფედერატული პრინციპი თავის ორგანიზაციის სიცხოველისა და სხვა უპირატესობათა გამო უფრო და უფრო ვრცელდება. ეს პრინციპი არც მთლად ახალია, ჯერ კიდევ ძველმა საბერძნეთმა განახორციელა იგი, თუმცა ცოტა განსხვავებულის სახით. მე 18 ს. ბოლოს და მთელი 19 საუკუნის განმავლობაში მოიპოვა ფედერატულმა სახელმწიფომ განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი განვითარება მთლად არც დამთავრებულა: ფედერატული სახელმწიფოები არსდებიან და კიდევ ბევრი დაარსდება მომავალში.

რაშია ფედერალიზმის სიძლიერე? რა და რა ფორმებს იღებს? როგორ ხორციელდება? აი ამ საკითხებზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. და ყოვლის უწინარეს, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა ნათლად განვსაზღვროთ ტერმინები. ფედერატულ სახელმწიფოს ფართო მნიშვნელობით ჩვენ ვუწოდებთ ყოველ ფედერატულ კავშირს, რომელიც ღებულობს ორს განსხვავებულს სახეს: 1) სახელმწიფოთა კონფედერაცია—Staatenbund, სადაც ფედერატული კავშირი რბილია და სუსტი.

2) ფედერალური სახელმწიფო—Bundesstaat, სადაც ფედერატული კავშირი უფრო მჭიდროა. ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავინახავთ, რომ ამ ორ ფორმას შორის დიდი განსხვავება არსებობს. განვიხილოთ ჯერ სახელმწიფოთა კონფედერაცია, მერე ფედერალური სახელმწფო. შემდეგ შევადაროთ ერთმანეთს და გავარკვიოთ საზომი, რომელიც საშვალებას მოგვცემს მათი ერთმანეთში გარჩევისათვის.

როცა ვეხებით სახელმწიფოთა კონფედერაციის საკითხს, საჭიროა დაუყონებლივ გადაჭრა რამდენიმე მნიშვნელოვანი საგნისა. როგორია წარმოშობა და იურიდული ბუნება სახელმწიფოთა კონფედერაციის? როგორია იურიდული მდგომარეობა შემავალ სახელმწიფოებისა? როგორაა დანაწილებული ხელისუფლება ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობათა შორის? დაბოლოს არის თუ არა კონფედერაცია მუდმივი ორგანიზაცია, თუ მას გარდამავალი სახე აქვს?

რა არის სახელმწიფოთა კონფედერაცია? კონფედერაციაა სუვერენულ სახელმწიფოების შეთანხმებული კავშირი, სადაც არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც აქვს იურიდული პიროვნება და აღჭურვილია მუდმივი ორგანოებით. ხოლო კონფედერაცია არის შეთანხმებული კავშირი სუვერენულ სახელმწიფოების და მის იურიდულ საფუძველს შეადგენს სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულობა განსაზღვრული მიზნის მასაღწევათ. კონფედერაცია არ შეადგენს ახალს სახელმწიფოს შემავალ სახელმწიფოებზე, მას არ ეკუთვნის სუვერენობა, არც აქვს სახელმწიფოს ხასიათი, წევრები (შემავალი სახელმწიფოები) იცავენ თავის სუვერენობას, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ყოველ წამს გამოაცხადონ თავის სუვერენობა კონფედერაციიდან გამოსასვლელად, ვინაიდგან თვითეულმა მათგანმა პატივი უნდა სცეს მოვალეობას, რომელიც თავისუფლად მიიღო თავისთავზე, და თუ რომელიმე გავა კონფედერაციიდან, უკანასკნელს უფლება აქვს იარაღით აიძულოს იგი ხელშეკრულობის დასაცავად.

კონფედარაციის შემავალ სახელმწიფოებს რჩებათ მათი სუვერენობა, არ არსებობს ერთი ეროვნება, ერთი ქვეშევრდომობა. ცენტრალურ მთავრობას არასოდეს შეუძლია რაიმე დამოკიდებულება იქონიოს შემავალ სახელმწიფოების ქვეშევრდომებთან; ამა თუ იმ დადგენილვბის შესასრულებლად უნდა მიმართოს მონაწილე სახელმწიფოების შუამავლობას. ამაშია კონფედერაციის სისუსტე. ხოლო ეს სავალდებულო არაა: კონფედერალურ ხელშეკრულობას შეუძლია მეტი უფლება მისცეს ცენტრალურ მართველობას და მას მიანიჭოს დადგენილებათა შესრულების პირდაპირი ნება. მაგრამ ასეთი მდგომარეობა გამონაკლისს წარმოადგენს და საერთო პრინციპი კი მოითხოვს, რომ ცენტრალური ხელისუფლების ყოველი გადაწყვეტილების შესრულებისათვის საჭიროა შემადგენელ სახელმწიფოების დასტური.

ცენტრალური ხელისუფლება მაინც მოსილია უფლებით, რომელიც განსხვავდება ნაწილების უფლებებისაგან, ვინაიდგან მას აქვს საკუთარი ნებისყოფა—ამის დამამტკიცებელია ის, რომ დადგენილებანი გამოაქვს ამ ცენტრალურ ორგანოს. ამის გამოა რომ იგი აღჭურვილია იურიდული სახეობით (პიროვნებით), როგორც საშინაო ისე საგარეო თვალსაზრისით. ცენტრალური ხელისუფლება საზოგადოთ წარმოდგენილია საკანონმდებლო დაწესებულებით (პარლამენტით), რომელიც შესდგება მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში ესაა ერთად ერთი ორგანო ცენტრალური ხელისუფლებისა. ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ ნაწილებს რჩებათ მათი სუვერენობა და ყოველივე უფლება, რომელიც აქედან გამომდინარეობს. ხოლო უდავოა, რომ ფედერალურ ხელშეკრულების დადების დროს მათ უარი თქვეს ზოგიერთ თავის უფლებებზე ცენტრალურ ხელისუფლების სასარგებლოთ, რათა უკანასკნელმა შესძლოს თავის მიზნების შესრულება. სამაგიეროთ ისინი დიდს მომაწილეობას იღებენ კონფედერალურ ნებისყოფის შედგენაში: ყოვლის უწინარეს შემავალი სახელმწიფოები შეადგენენ კონფედერაციის უმთავრეს ორგანოს—საერთო პარლამენტს; ყოველ ნაწილს აქ წარმომადგენლობის თანასწორი რიცხვი ყავს და ამ წარმომადგენლებს იმპერატული მანდატები აქვთ თავიანთ სახელმწიფოებისაგან. შემდეგ მონაწილეობა გამოიხატება ფედერალურ ხელშეკრულების რევიზიაში— ხელშეკრულების გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ ყველა წევრების ერთხმა გადაწყვეტილებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების შეცვლა შეუძლებელი ხდება თითქმის—რაიც კონფედერაციის მეორე დიდ უხერხულობას წარმოადგენს. ერთხმობას მოითხოვს ზოგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაც, მაგ. ახალი წევრის მიღება და სხვ. და ეს გარემოება უეჭველია აბრკოლებს სახელმწიფოს ფუნქციებს. დასასრულ ნაწილების მონაწილეობა საერთო ნებისყოფაში გამოიხატება იმაში, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას თვითონ არ მოეპოვება აღმასრულებელი ორგანოები და მისი დადგენილება უნდა აღასრულონ შემავალმა სახელმწიფოებმა, უკანასკნელნი კი დაერიდებიან ისეთი რისამე შესრულებას, რაც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

მაშასადამე ორი რამ ახასიათებს კონფედერაციას: ცენტრალური მართველობის ორგანიზაციის სიმარტივე—ხშირად და მხოლოდ პარლამენტი არსებობს, რომელსაც შეზღუდული უფლებები აქვს—და სისუსტე ფედერალურ მართველობის, რაიც თითქმის აუცილებელია, ვინაიდგან შემადგენელი სახელმწიფოები მეტად უფრთხილდებიან თავის დამოუკიდებლობას და უთმობენ ცენტრალურ ხელისუფლებას მარტო იმას, რაც აუცილებლად საჭიროა უკანასკნელის მიზნისთვის (საგარეო საერთო საფრთხის წინააღმდეგ), და როდესაც შემავალი ნაწილები საკონფედერაციო ხელშეკრულებას სდებენ, ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ თავიანთი სუვერენობა განამტკიცონ და არა შეასუსტონ.

(შემდეგი იქნება)

მ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესა

არიან მახინჯი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სხვისი გინება და უღირსად ხსენება საუკეთესო საშუალებაა საკუთარი ეროვნული ღირსების ასამაღლებლად; მათის შეხედულობით, რაც უფრო გალანძღავ და დაამცირებ სხვას, თუნდაც უსამართლოთ და უსაფუძვლოთ, მით უფრო დაწინაურებული იქნება შენი ეროვნული საქმე. ყოფილა ასეთი ადამიანი ქართველ ემიგრაციაშიც, ვინმე ბეჟან გიორგაძე. რომელიც «თეთრი გიორგის» № 25-ში ამნაირ ყოვლად შეუწყნარებელ სიტყვებით ამკობს რუსის ერს, მის ენას და კულტურას:

«მამულიშვილს ზნეობრივმა შეგნებამ უნდა აუკრძალოს ქართველს ამ ძაღლის ენაზე ლაპარაკი.... ყველაზე უვარგისი მწერლები იყვნენ რუსები და მათი შემოქმედების დამახასიათებელი მთავარი მოტივი ადამიანის სისაძაგლის გამართლებას ემსახურებოდა... ყველა რუსის მწერლები გარყვნილნი და საშინელი ზნედაცემული ავადმყოფები არიან... რუსებს კულტურის ნასახიც კი არა აქვთ დღემდე... რუსული ენა მხოლოდ ლანძღვა გინებისათვისაა.... რუსული მუსიკა არ არსებობს... ეს რასა, ჩინგის ხანის და ბათო ნოინის ურდო, სადიზმის და იდიოტიზმის საბუდარია» და სხვა და სხვა.

ჩვენ ამოვწერეთ ბ. გიორგაძის წერილის რამდენიმე სტრიქონი და რასაკვირველია საჭიროდ არ მიგვაჩნია გამოვეკამათოთ ავტორს და არც იმ ორგანოს, სადაც წერილი მოთავსებულია. ვიტყვით მხოლოდ: ეს ხალხი ან სრულიად გონება დაკარგულია, ან სრულებით უვიცი და არავითარი წარმოდგენა არა აქვთ არც კულტურაზე და არც პოლიტიკაზე. ისინი არ ცნობენ არც საქართველოს და მის ისტორიას, სრულიად მოწყვეტილნი არიან ქართველ ერს და მის სულის კვეთებას. საქართველოს ხანგრძლივმა ისტორიამ არ იცის ერთი მაგალითიც სხვა ერის ბრმა და უგუნურ სიძულვილის. ჩვენი პოლიტიკური სიძლიერის დროს ქართველი მეფეები დახმარებას უნიშნავდენ მუსულმან მწერლებს და თავშესაფარს უშენებდენ. სომხები, ებრაელები და სხვანი, მტრისაგან დევნილნი, ბინას ჰპოულობდენ ქართველთა შორის. დღეს ჩვენ ვებრძვით რუსეთს ჩვენი დამოუკიდებლობისთვის,—აქ მთელ ქართველ ერს ერთი პირი აქვს—, ვებრძვით შეურყევლად, გადაჭრილად, მაგრამ ვის შეუძლია უარყოს რუსეთის კულტურა, მწერლობა, ხელოვნება? განა საკმარისი არაა, მიმოვიხედოთ გარშემო აქ პარიზში, საფრანგეთში, რომ დავინახოთ, თუ როგორს პატივს სცემენ რუსულ ხელოვნებას ფრანგებიც კი, რომელთაც უაღრესად განვითარებული აქვთ ეროვნული პატივმოყვარეობა? ჩვენ გააფთრებით ვებრძოდით რუსის მოხელეებს, როდესაც ისინი ბედავდენ და ძაღლის ენას უწოდებდენ ქართულს და ნუ თუ დღეს ვინმე ქართველი უნდა გამოვიდეს ამ რუსის მოხელეების როლში და უღირსად შეეხოს რუსის ენას? არა, ეს არაა ქართული ერის ბრძოლის იარაღი!

დარწმუნებული ვართ, ყოველ ქართველს ღრმად აღაშფოთებს გიორგაძისთანა უპასუხისმგებლო პირების გამოსვლები, რომელთაც საერთო არა აქვთ რა არც ქართველი ხალხის ეროვნულ შეგნებასთან, არც მის პოლიტიკასა და საქმესთან.

საქართველოს ამბები

(გაზეთებიდან)

ს. კულაშში (ქუთ. მაზრა) ივ. ხარებავა ღამით თავს დაესხა კოლექტივის წევრებს, რომლებიც ყარაულობდენ მის ჩამორთმეულ სახლს, და დაუშინა მათ ქვები, კეტები, უნდოდა კარების შემტვრევა და კოლექტივის წევრების დახოცვა,

—ქუთაისიდგან იტყობინებიან, ბევრ სოფელში გლეხები ყიდიან მუშა საქონელს.

—თელავის აღმასტკომმა დაადგინა გამოასახლოს რაიონიდან «კულაკები».

—ტობანიერში (ქუთ. მ.) ცეცხლი წაუკიდეს კომუნისტ ნაფეტვარიძის ღობეებს სახლის დაწვის მიზნით

—ნიმუში კოლმეურნეობის: ცხენების და ხარების კოლონების საკვებად ქუთაისში «სოფლის კავშირმა» ყარაიადან გამოგზავნა სამი ვაგონი თივა, რომელიც აღმოჩნდა დამპალი და სრულიად უვარგისი. საგარეჯოში, გეგმის თანახმად, თემსაბჭოს უნდა მოეხდინა 1 თებერვალს, შესაკეთებელ მანქანა —იარაღების აღრიცხვა, მაგრამ შესაკეთებელ პუნქტების უქონლობის გამო ხუთი დღის განმავლობაში ბრიგადამ მხოლოდ ერთი გატეხილი ღერძი შეაკეთა და დანარჩენი დრო უსაქმოდ იყო.

—ს. ნახშირღელეში (ქუთ. მაზრა) «კულაკებმა» ხმები გაავრცელეს, რომ მალე მოხდება გლეხების ცოლების გასაზოგადოება.

—სოხუმის მახლობლათ დასწვეს კოლმეურნეობის თამბაქოს საწყობი.

—ს. მიქელევანში (ქუთ. მაზ.) მოკლეს კოლექტივის აქტიური წევრი კერელეიშვილი.

—სუფსაში (ოზურგ. მაზ.) დასწვეს კოლექტივის წევრის სახლი, დაიღუპა მთელი ინვენტარი, ავეჯეულობა და მუშა საქონელი. სუფსის თემის მეორე სოფელში დასწვეს კოლმეურნეობის აქტიური წევრის გოგუაძის სახლკარი და მთელი ქონება.

ს. ბადიაურში ღამით «კულაკები» თავს დაესხენ სოფლის საბჭოს, მოკლეს დარაჯი.

—ს. ორჯოხეთში (ქუთაისის მაზ.) სასოფლო კრების შემდეგ დასჭრეს კოლმეურნეობის წევრი ორმოცაძე. ს. ფარცხანაყანევში «კულაკმა» სცადა ხანჯლით მოკვლა წითელარმიელის, რომელიც სოფელზე იყო მიმაგრებული.

—საპაიჭაოში დასწვეს კოლმეურნეობის თივის ზვინი.

—ხონის რაიონში «კულაკებმა» დაიწყეს მუშა საქონლის, სახლების და ინვენტარის გაყიდვა.

—ჭალადიდში (სენ. მაზ.) «კულაკებმა» მალულად გააპარეს გასასყიდად ცხენები და კამეჩები.

—ს. ძველსენაკში ცეცხლი წაუკიდეს კოლმეურნეობის თივას და შეშას.

—ს. გადაქანში (სიღნღის მაზ.) ცეცხლი წაუკიდეს კომუნის ბინებს, დაიწვა 16 ხარკამეჩი.

— თელავის მაზრაში გლეხებმა ერთიან მოსჯრეს კაკლის ხეები კოლექტივიზაციის შიშით.

—შესდგა დამფუძნებელი კრება ა. კავკასიის მწერლობისა და ხელოვნების მუშაკთა კავშირის დასაარსებლად.

— ქუთაისი. როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, მუშები და მოსამსახურენი, აგრეთვე სოფლის აქტივები თავიანთ დადგენილებებში დაბეჯითებით მოითხოვდენ ზარების ჩამოხსნას ეკლესიებიდან. საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: —დაკმაყოფილოს მუშებისა და გლეხების შუამდგომლობა და მოხსნას ზარები ონის, ხონის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჭიათურისა და ქუთაისის ყველა ეკლესიებს, ხოლო სოფლებში მოხსნას ზარები დაკეტილ ეკლესიებს. ზარები გადაეცემა ინდუსტრიალიზაციის ფონდს. (კომ).

— გურჯაანი. კულაკები ავრცელებენ ჭორებს, ვითომ საბჭოთა კავშირს მართებს გერმანიის ვალი; სოფლებში უნდა შეკრიბონ ბავშები 5 წლამ. და ჩააბარონ გერმანიას ვალის ანგარიშში. აქეზებენ შეუგნებელ გლეხებს: მოითხოვეთ ტანთსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ., რაკი კოლექტივში გაგაერთიანეს, ყველაფერი უნდა მოგცენო.

—აი კიდევ ნიმუშები კოლმეურნეობის საქმიანობის: საჩხერის რაიონში სოფლის კავშირმა გაგზავნა კოლმეურნეობისათვის «ბკ»-ის სისტემის 105 გუთანი, რომლებიც იმ რაიონისათვის სრულიად გამოუსადეგარია. ამის გამო დროზე ვერ დაიწყეს მიწის ხვნა.—ბორის ოლქში გადმოგზავნილ ტრიერებს არ მოყოლია თან ღვედები და ქერის გასაწმენდი საცრები.—ბორის ოლქში მუშაობს 22 შემკეთებელი ბრიგადა 121 ხელოსნის შემადგენლობით. ბრიგადები მეტ წილად გამცდარნი არიან ნახშირისა და რკინაფოლადის უქონლობის მიზეზით.

— იმის გასაცნობად, თუ როგორი წესით ხდება გაერთიანება კოლმეურნეობაში, ვათავსებთ აქ «კომუნ.» 18 თებ. №-ში დაბეჭდილ კითხვა-პასუხს:

კითხვა:

«ჩვენ გვინდა გავიგოთ: როგორ განაწილდება შრომა კოლექტივებში.

პასუხი:

«კოლმეურნეობაში შესვლის მთავარი პირობა ასეთია: კოლექტივის ყველა შრომის უნარის მქონე წევრი აუცილებლად პირადათ უნდა მუშაობდეს კოლექტივის მეურნეობაში. მუშა-ხელს წინასწარ ანაწილებს კოლექტივის მმართველი ორგანოები. განაწილება ხდება იმის მიხედვით, თუ ვის რა სამუშაოს შესრულება შეუძლია და ვინ რა ხელობა იცის. ამრიგად, კოლექტივის წევრთა ერთი ნაწილი მუშაობს ვენახებში, მეორე ნაწილი—მინდვრად, მესამე უვლის საქონელს, მეოთხე უვლის ფუტკარს და სხვ. კოლმეურნეობის თვითეულ დარგს (მაგალითად—მევენახობას, მემინდვრეობას) ყავს თავისი ხელმძღვანელი. ამას გარდა ცალკე დარგებშიაც იქნება ჯგუფები, რომელთაც აგრეთვე თავისი ხელმძღვანელები ყავთ.

«დარგის ხელმძღვანელი ყოველდღიურად აძლევს თავის დარგის ჯგუფებს მუშაობის განრიგებას («ნარიადს»), რომელშიაც აღნიშნულია, თუ კოლექტივის რომელმა წევრმა სად უნდა იმუშავოს და რა უნდა გააკეთოს. ამ განრიგების მიხედვით სწარმოებს შემდეგ კოლეკტივის წევრების მიერ შესრულებული მუშაობის აღრიცხვა (ტაბელის შედგენა).

«ნამუშევარი უნდა განაწილდეს თვითეული წევრის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. გამომუშავებული უნდა იქნას დამუშავების ნორმები თვითეულ სამუშაოსათვის და თვითეული სამუაო ნორმის ღირებულება (მაგალითად, დღეში ერთმა მუშამ უნდა გასხლას ორასი ძირი ვაზი, ხოლო ორასი ძირი ვაზის გასხვლა ღირს 3 მანეთი). საბოლოოდ ანგარიში გასწორდება წლის დამლევს. წლის განმავლობაში კოლექტივის წევრს შეუძლია ავანსის სახით მიიღოს ნატურით ან ფულად დახარჯული შრომის ღირებულების არა უმეტეს 50 პროცენტისა.

«კოლეკტივში აუცილებელია სანარდო მუშაობა და ცალკე პირებისა თუ ჯგუფების დაჯილდოება ბეჯითი მუშაობისათვის. არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები დაქირავებული შრომის გამოყენება.

«კოლეკტივში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების მეთოდი.

კითხვა:

«თავისი ქონებიდან რა უნდა შეიტანოს გლეხმა სასოფლო-სამაურნეო არტელში.

პასუხი:

«სას.-სამ. არტელის წევრები აუცილებლათ აერთიანებენ მიწებს, ვენახებს, სას.-სამ. იარაღ-მანქანებს, მუშა-საქონელს, მეწველ საქონელს და ცხვარს. რაც შეეხება სახლს, სამოსახლო ადგილს, პატარა ბოსტანს, საოჯახო ნივთებს, ქათმებს, იხვებს, რომელთაც მხოლოდ შინაური მოხმარების მნიშვნელობა აქვთ, ეს ქონება არ ერთიანდება და რჩება არტელის წევრის სარგებლობაში. არ ერთიანდება, არც უკვე მოწეული მოსავალი: პური, ღვინო და სხვა», («კომუნისტი» № 40)

უკრაინელთა ზოგრის

უკრაინის უზენაეს სასამართლოში დაიწყო «უკრაინის განმათავისუფლებელ კავშირის» გასამართლება. საბრალდებულო სკამზე ზის 45 კაცი. მათ შორის აკადემიკოსი ეფრემოვი ცენტრალური რადას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ჩეხოვსკი, პეტლიურას ყოფილი მინისტრი, ნიკოვსკი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი. პროცესი დიდი პომპითაა მოწყობილი. ხელისუფლებამ მიიღო ზომები, რომ რამდენიმე ათასმა კაცმა იხილოს და ისმინოს პროცესი. ღხარეების კამათი გადაცემულ იქნება რადიო ტელეფონით. მთავრობის მიზანია სახელი გაუტეხოს სეპერატულ მოძრაობას უკრაინაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—უკანასკნელი ცნობების მიხედვით, უკრაინაში მდგომარეობა მეტად გამწვავებულია, საბჭოთა პრესა არ ფარავს ამ ვითარებას. ის თვით აღნიშნავს, რომ ალექსანდოვკაში, ეკატერინოსლავის რაიონში მოსწამლეს ჭები ყველა კომუნისტების ეზოშრ, რის გამო ბევრი მათგანი დაიხოცა.

—შეპეტევკას რაიონში გლეხებმა დალეწეს კოლხოზი და ჩამოაღრჩეს მისი დირექტორი, კომუნისტი ჩიჩინი სოფლის გამოჩენილ ადგილზე.

—იაკაში, ოდესის ახლო, გლეხებმა თოფები დაუშინეს კომუნისტები რაზმს, სამი მოკლეს, თორმეტამდე დასჭრეს.

—ტარტაკოვში, იმავე რაიონში, გლეხებმა შეიპყრეს ჩეკისტი ფრიზელი, მიაკრეს ბოძზე სოფლის შუაგულში და საჯაროთ ჩაქოლეს ქვებით.

— ბერდიჩევთან ღამით თავს დაესხენ სამხედრო კოლხოზს ქვეითა ჯარის 43 დივიზიის შექმნილს. კოლხოზი დასწვეს, ვინც იყო იქ ყველა ამოხოცეს. გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია.

—პოლონურ პრესაში მოთავსეულია უკრაინიდან გამოქცეულების ნაამბობი. სხვათა შორის გროზოვიჩი, ღარიბი გლეხი ლაპარაკობს: ჩემ სოფელში სლობოდკაში, მოვიდა ჩეკისტების რაზმი, გაანადგურეს ეკლესია, მღვდელს გახადეს ტანზე ათ გრადუსიან ყინვაში და ჩამოახრჩვეს. მეზობელ სოფელში ჩეკისტებმა მღვდელი ჯვარს აცვეს, მესამე სოფელში დახოცეს ეკლესიის ყველა მოსამსახურენი, ეკლესიის მცველიც კი.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

მურმანის რკინისგზაზე ავადმყოფი ორთქლმავლების პროცენტი დღითი დღე მატულობს. პირველ მარტს მან მიაღწია ორთქლმავლის შემადგენლობის 19 პროცენტს.

— ბევრგან კოლმეურნეობაში «კულაკებმა» მაგრათ მოიკიდეს ფეხი. დამახასიათებელია, რომ «კულაკები» ხშირათ მოითხოვენ სოფლის საბჭოების გაუქმებას იმ მოსაზრებით, რომ სოფლის საბჭოები კოლექტივიზაციას არ ახორციელებენო.

ტიუმენის ოლქში «კულაკებმა» გააუქმეს სოფლის საბჭო. ურალის ოლქში ზალანის რაიონში ადგილობრივ «კულაკების» მოთხოვნით გაუქმებულ იქნა ოცდა ერთი სოფლის საბჭო. დანარჩენი ოცდა ხუთის გაუქმებას ფიქრობენ წლის განმავლობაში.

— ურალის ოლქში სულ ერთიანათ გაანადგურეს ცხენები. ტროიცკის ოლქში დახოცეს 21 პროცენტი მუშა ცხენების. ძროხები, რომელნიც მორეკილ იქნენ კოლმეურნეობაში, იყვნენ ისეთი გამხდრები, რომ უნდა გამოეთრიათ ვაგონებიდან და დაეკიდებიათ, რომ არ დაცემულიყვნენ. ძროხები ხბოებს იგებდენ, ხბოები იხოცებოდენ. გზაში დაიხოცა 45 ძროხა და ბევრი ხბო.

— დონბასში ნახშირის ამოღების თებერვლის პროგრამის შესრულებას აკლია 89,880 ტონი.

დონბასის «ნახშირის ვალი» არამც თუ არ მცირდება, იზრდება. მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვის განმავლობაში დონბასმა მოგვცა 727.370 ტონით ნაკლები.

— როგორც «ექსპრეს პორანი» იტყობინება, საბჭოების სანაპირო სადარაჯო, 20 წითელ ჯარისკაციდან შემდგარი, გადავიდა საზღვარზე და გამოცხადდა პოლონელ კომენდატთან ლუნილაში. წითელ ჯარისკაცებმა განაცხადეს,—გამოიქცენ რუსეთიდან, რომ თავი იხსნან შიმშილისა და მონობიდან.

— მოსკოვის მეორე უნივერსიტეტში დაიწყო პროფესორების წმენდა. პოლიტიკური ნეიტრალობა და লояიალობა არ კმარა. თითეულ პროფესორმა და მასწავლებელმა უნდა გამოთქვას თვისი შეხედულება, რომ გამორკვეულ იქნას, მიყვება ის თუ არა პარტიის გენერალურ ხაზს.

— კრილენკომ მიმართა ყველა პროკურორებს ადგილობრივ ინსტრუქციით, თუ რა წესით უნდა იქნან კოლმეურნეობიდან გამოდევნილი კულაკები, ღვდლები და ყველა არა სასურვო ელემენტები.

გამოდევნილნი ქუჩაში რჩებიან, მათ არ მიეცემათ არც მიწა სხვაგან და არც სატრანსპორტო საშვალებანი.

— მოსსოვეტის სატრანსპორტო სექციამ დაათვალიერა მოსკოვის სადგურები (ოქტომბრის, ბელორუსკის და კურსკის რკინისგზის). სადგურის შენობები მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მატარებელთა რიცხვი არაა საკმარისი და ყოველ დღე დიდძალი ხალხი რჩება მოსკოვიდან გაუსვლელი.

— ყველა ინტელიგენტი, რომელსაც ბრალდება «მავნებლობა», იგზავნება სამუშაოთ ტყეში: იგზავნება ათასობით ხალხი. არ არის ბინები, არ აცვიათ თბილი ტანისამოსი. მეთვალყურენი ყოველ დღე 30 გრადუსიან ყინვაში მიერეკებიან ხალხს სამუშაოთ. საექიმო დახმარება არ არსებობს. დიდ უმრავლესობას ფიზიკურათ არასოდეს უმუშავია. კვება საშინელია, ხშირათ მხოლოთ გაყინული პურია. სიკვდილი ძლიერ ხშირია. მიცვალებულთა გვამები ტყეში ყრია დაუსაფლავებელი.

— კურსკის ოლქში, სოფელ ლიუბეცკოეში, გლეხებმა მოკლეს კომსომოლი ჩოპლგინი, რომელიც კოლექტივიზაციისათვის მუშაობდა. დაიჭირეს ათი გლეხი.

— გრაზოვეცკოს რაიონში, ვოლოგდას ახლოს, სადაც კოლექტივიზაცია სრულად გატარდა, ერბოს დამზადება 33 პროც. დაეცა. კოლმეურნეობის საქონელი ერთი მესამედით ნაკლებს იძლევა რძეს. კიდევ უარესია მდგომარეობა არხანგელსკის ოლქში, სადაც ერბოს დამზადება 25 პროცენტითაა მხოლოდ შესრულებული.

— საბჭოთა დაწესებულებათა, მათ რიცხვში სამოსწავლო და სამეცნიერო, წმენდა დამთავრდა. ხმები დადის, რომ ბევრია დახვრეტილი. ამის გამორკვევა «სოც. ვესტ.» მოსკოვის კორესპონდეტს ჯერ ვერ მოუხერხებია. ეს კი სინამდვილეა, ამტკიცებს ის, რომ ბევრი დაჭერილები ქრებიან და ახლობელი ნათესავებიც ვერ ღებულობენ ცნობებს მათ ბინადრობის შესახებ.

— დონის როსტოვში ცეცხლი წაეკიდა გეპეუს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობას. 28 კაცი დაიწვა. დაინიშნა მოსკოვიდან სპეციალური კომისია მიზეზის გამოსარკვევად. კომისიას თავმჯდომარეობს რაიზერმანი, ბესედოვსკის საქმეში ცნობილი.

— მოსკოვიდან ცნობებია, რომ უკანასკნელ ხანებში სავალიუტო კრიზისმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. თებერვალში შავ ბირჟაზე დოლარი ღირდა 10 მან., ეხლა მას ვერ იშოვით 12 მან.

სავალიუტო კრიზისის გამო საბჭოთა მთავრობას ძლიერ უჭირს თამასუქების დახურდავება ბერლინში.

— რუსეთიდან გამოქცეულთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. გლეხებს გამოაქვთ თან უკანასკნელი ნივთი, გამოყავთ საქონელი. წითელ ჯვართან შეთანხმებით, პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი ღებულობენ ზომებს გამოქცეულთა მოსაწყობად, უჩენენ მათ საექიმო და მატერიალურ დახმარებას.

— «სოც. ვესტ.» ატყობინებენ მოსკოვიდან: კომუნისტურ პარტიის ცენ. კომ. დაუგზავნა საიდუმლო ცირკულიარი ყველა ადგილობრივ ხელისუფლებათ, რომლის ძალით «კულაკები» დაყოფილ უნდა იქნან სამ კატეგორიათ: პირველი კათეგორია—კულაკები კონტრევოლუციონერები—დახვრეტილ უნდა იქნენ დაუყონებლივ ცენტრის დაუკითხავად. მეორე კათეგორია—კულაკები, რომლებიც ექსპლუატაციას უშვრებიან გლეხების შრომას. მათ უნდა ჩამოერთვათ ყოველივე ქონება და გადასახლებულ უნდა იქნან შორეულ ჩრდილოეთში. მესამე კათეგორია—დანარჩენი კულაკები, რომლებიც პირველ ორ კათეგორიაში არ შედიან, უნდა ჩამოერთვათ ქონება და გაძევებულ იქნან ბინიდან ხელცარიელი, შეეძლებათ გაიტანონ მხოლოდ ის, რაც ტანზე აცვიათ.

— ცარიცინის ხაზზე, მარტის პირველ რიცხვებში, მთელი ათი დღის განმავლობაში, ყოველ დღეს აქვს ადგილი მატარებლის დამსხვრევას.

— როგორც ცნობებია—მოსკოვიდან, უკმაყოფილება ჯარში დღითი-დღე იზრდება, ასე რომ ის საიმედო ძალას მთავრობისათვის აღარ წარმოადგენს. ამიტომ ხელისუფლება შეუდგა სამხედრო ძალის ძირითად რეორგანიზაციას. უნდათ იყოლიონ პროფესიონალური ჯარის კაცები, საგანგებოთ შერჩეულნი, რომელნიც მატერიალურათ მეტად პრივილეგიურ მდგომარეობაში იქნებიან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გვარდიის შექმნას განსაკუთრებული ენერგიით შეუდგენ უკრაინაში, კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში.

— კომუნისტურ პარტიის ცეკამ ცირკულიარით მიმართა პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც ის მოითხოვს: 1) შეწყვეტილ იქნას იძულებითი კოლექტივიზაცია;

2) შემოწმებულ იქნას სია გაკულაკებულ და უფლება აყრილთა და დაუყოვნებლივ იქნას გასწორებული შეცდომები;

3) სასტიკათ იქნას დაცული წესები კოლმეურნეობაში კულაკების და სხვა უფლება აყრილთა არ შეშვებისა, ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენენ ოჯახები წითელ არმიელების და წითელ ფლოტის და სახალხო მასწავლებელთა;

4) აღდგენილ იქნას ბაზრები და იქ თავისუფალი ვაჭრობა;

5) სასტიკათ აკრძალულია ეკლესიების ადმინისტრატიული დახურვა. ეკლესიები დაიხუროს, თუ ამას ხალხი მოითხოვს;

6) პარტიული მუშაკები, რომლებიც პარტიულ ხაზს არ გაატარებენ, ან ვერ გაატარებენ, დათხოვნილ და შეცვლილ იქნან სხვებით.

რას სწერენ ბოლშევიკებზე

ბერლინში მოსკოვიდან ჩამოსულმა დიპლომატმა გაზ. «ლოკ. ანც.» ის თანამშრომელს ასე დაუხასიათა რუსეთის აწინდელი მდგომარეობა: «ს. ს. რ. ს. კ.» როგორც ეტყობა, იმყოფება ისეთი ამბების წინაშე, როგორიც მოხდა გერმანიაში 1918 წელს. მაშინაც ხომ არავის ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ მსგავსი ამბები დაგვტყდებოდა თავს ასე ფართოდ და შეუჩერებლად. საბჭოთა ხელისუფლებამ გაუშვა ხალხთან შერიგების დრო. ახლა მან უნდა განაგრძოს ბრძოლა, ვიდრე არ მოხდება კატასტროფა, რომელიც იმდენად საშინელი იქნება, რომ მას ევროპა მეტად მწვავედ იგრძნობს.».

— არა ნაკლების სიმწარით აგვიწერს ფრანგულ «ეტრანსიჟანში» იაპონელი მწერალი ვიკუ-იამატა თავის შდაბეჭდილებებს ციმბირის რკინის გზაზე და მოსკოვში: «მანჩულის შემდეგ ვაგონ-რესტორანი მოხსნეს. საწოლ ვაგონში ორნი ვიყავით. ჩემი თანამგზარი აღმოჩნდა ფრანგი, რომელიც უკვე მოგზაურობს ციმბირის გზაზე მეთორმეტეჯერ. მისი სიტყვით, რუსეთის კულტურას მუდამ თანდათანი დაცემა-და დაქვეითება ეტყობა.

ჩვენ გკვებავდენ შავი პურით. ამ შავი პურის შემდეგ სადგურების ბუფეტებში აღმოვაჩინეთ ხიზალალა, კარაქი და ერთგან მსუქანი შემწვარი ვარია... ბაქანები სავსე იყო ძაღლებით. «მადლობა ღმერთს, მითხრა ფრანგმა: სჩანს ჯერ კიდევ ძაღლებისათვის ხელი არ უხლიათ. მაგრამ დადგება დრო, როცა ძაღლებს დაუწყებენ ჭამას». მოსკოვში ჩავედით უქმე დღეს, პროპაგანდის დღე იყო. ქუჩებში ძალხი მრავლად მოძრაობდა. ყურადღება მივაქციეთ მაღაზიებში გამოფენილ საქონელს, რომელიც მეტად მდარე ღირსების იყო. მაღაზიებთან დაუსრულებელი რიგები იდგნენ. სახლების კედლებს აჭრელებდენ ანტირელიგიური პლაკატები, ძალზე უშნოდ და ტლანქად შედგენილი, მყვირალა და ულაზათო წარწერებით... კრემლში დასეირნობდენ წითელარმიელები. მათ ჯანმთელი გამომეტყველება ჰქონდათ—კრემლის მცველებს კარგათ აჭმევენ... ხალხი ყოველგან მოწყენილია, დაღვრემილი... საღამოს «მოსკოვის დიდ სასტუმროში», რომელიც უცხოელებისათვის არის დანიშნული, ჩვენ მივირთმევდით ძვირფას ვახშამს, გვართობდა ჯაზ-ბანდი და შეველაქცეოდით სამჭოთა პაპიროზებს, თითო ცალი რომ ორ ფრანკად იყიდება».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები საფრანგეთში

ქართული ტრადიციული ბალი. 4 მარტს გაიმართა ქართული ბალი, უნდა ითქვას, უკეთესი, უფრო ბრწყინვალე, ვინემ გასულ წლებში. პარიზში დიდძალი ემიგრაცია არის—ასი ათასები, ქართველი ემიგრაცია კი მხოლოდ წვეთია—ათასამდე. როგორია საყოველთაო ერთსულოვანი დაფასება? ასეთი ბალი ემიგრაციას არ მოსწრებიაო! მეტსაც ვიტყვით, თვით ფრანგებსაც ძვირათ გაუმართავთ მზგავსი. და ამას ამბობდენ ფრანგები, რომელნიც ჭარბობდენ ყველა დანარჩენებს. იყვნენ ბლომათ ინგლისელნი, ამერიკელნი, პოლონელნი და სხ. ქართველების მეზობლებს, უკრაინელთ ხომ არ ვათვლით.

დარბაზი ახალი სტილის პარიზის I. უკეთესო უბანში, მოწყობილება მდიდრული, ჩაცმულობა პარიზული, მუსიკა სულ პირველი, ქართული შნო და ზომიერება. დივერტისმენტებში: დარბაისლური ლეკური (ორი რწყვილი), მარდი ნაურსკი, ქართული ჰანგები (ბ. ნანობაშვილი), უცხოელი რომანსები (ქ. ბ. მაკ კორმიკ), აღმტაცი ბალეტი (11 წლის თუმანიშვილის ასული, დიდი ოპერის ვარსკვლავი), პარიზის წლევანდელ «დედოფლის» გამოჩენა.

ეს მიღწევა, გარდა თავის საქველმოქმედო მიზნისა, დიდ სამსახურს უწევს ჩვენი ეროვნული საქმის პოპულიარიზაციას. ქართველი ერი, ჩვენ იმედი გვაქვს, ჩქარა არ იქნება იძულებული სხვაგან ეძიოს სტუმართმოყვარეობა, მაგრამ ქართული ბალი, არა ნაკლებ ვართ დარწმუნებული, პარიზის ტრადიციად იქცევა მომავალში.

ჩვენ არ დავასახელებთ დიდათ პატივცემულ პიროვნებათ, რომელთაც კეთილ ინებეს მოეწყოთ ეს დაუვიწყარი დემონსტრაცია ქართული გემოვნებისა, ფრანგული სიმშვენიერით შეზავებული, რომელთა მიმართ ჩვენი მადლობა უდრის ჩვენს აღტაცებას. ნებას მივცემთ თავს მხოლოდ ორი გამონაკლისი გავაკეთოთ ქ ბ თამარ დადიანისა და ბ. დავით სხირტლაძისთვის, რომელთა ამაგს ქართველობა ღირსეულად დააფასებს.

მაგრამ სიხარულს ჭმუნვაც ახლავსო—იტყვიან. 30 მარტს ქართველთა ასოციაციის გამგეობის არჩევნებია და ხმები დადის, ბ. სხირტლაძე თავმჯდომარეობას თავს ანებებსო.

—

ბ. ნანობაშვილის საღამო. კვირას 6 აპრილს 21 საათს დანიშნულია ცნობილ ტენორის ბ. ნანობაშვილის ქართული კონცერტი. ეს პირველია არა მარტო პარიზში, არამედ ევროპაშიც. პროგრამა მხოლოდ და მარტო ქართულ ნომრებიდან შესდგება. ქართველი საზოგადოება, რა თქმა უნდა, ბლომათ დაესწრება. მისამართი: Maison Pleyel-Salle Chopiu, 8 rue Daru (Métro Ternes).

გაზეთის ფასი:

ერთი წლით 20 ფრანკი.
ნახევარი წლით 10 ფრანკი.
ერთი ნომერი 2 ფრანკი.

„შევარდენი"

ქართველთა ემიგრანტულ ცხოვრებაში მოხდა ერთი აღსანიშნავი და სასიამოვნო მოვლენა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა «ქართველი სპორტული საზოგადოება «შევარდენი», რომლის წესდებაც დამტკიცებულია საფრანგეთის პოლიციის მიერ.

არ ვფიქრობთ, რომ ქართველი საზოგადოებისათვის საჭირო იყოს იმის მტკიცება, თუ რამდენათ აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენთვის, განსაკუთრებით ემიგრანტულ პირობებში, სპორტის წარმოება და მისი განვითარება. ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ საერთო ცხოვრებას, დაინახავდა რა დიდი ყურადღებით ეპყრობიან სხვადასხვა წრეები მათი ერის ფიზიკურად განვითარების საქმეს ყველა ქვეყნებში. ერის გაჯანსაღება, ერის თავდაცვის საქმის განმტკიცება, ერის სხვადასხვა ფენების დაახლოება-გაცნობა—აი, სპორტის უმთავრესი მხარეები. ქართველობას, უფრო ვინემ რომელსამე სხვა ერს, სჭირდება სპორტი და ყველა ის დადებითი მხარეები, რომელნიც მას მოსდევს.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველი საზოგადოება და ყველა ქართული დაწესებულებანი არ დასტოვებენ უყურადღებოთ ამ სასარგებლო წამოწყებას და გაუწევენ «შევარდენს» დახმარებას, მორალურს და მატერიალურს. «შევარდენი» უნდა დავაყენოთ მკვიდრ ნიადაგზე. ამას მოითხოვს ჩვენი ერის ინტერესებიც.

«ქართველი სპორტული საზოგადოება
«შევარდენი»-ის გამგეობა.

—

სტიპენდია ნ. ხომერიკის სახელობაზე.

ოდენკურის ქართველთა ასოციაცია აწესებს ყოველ თვიურ სტიპენდიას 1930 წლის 1-ელ იანვრიდან 200 ფრანკს განსვენებულ ნოე ხომერიკის სახელობაზე. ეს სტიპენდია ენიშნება 1-ელ იანვრიდანვე ნ. ხომერიკის შვილს ვიკ. ხომერიკს უმაღლეს სწავლის გასაგრძელებლათ.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZÉ
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.